ახალი განათლება

2012 წელი, 19 – 25 აპრილი

ფასი 1 ლარი 30 თეთრი

№15 (569) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

2012 წლის 17 აპრილიდან, საქართველოს მასშტაბით, ყველა პირველკლასელის ონლაინრეგისტრაცია დაიწყო. 2 აპრილიდან 17 აპრილამდე პირველკლასელების ინტერნეტრეგისტრაცია იმ სკოლებში იყო შესაძლებელი, სადაც მათი დედმამიშვილები სწავლობდნენ ან მშობლები მუშაობდნენ. დანარჩენების რეგისტრაცია კი, 17 აპრილიდან 17 ივნისის ჩათვლით განხორციელდება.

წელს პირველად, რეგისტრაცია მხოლოდ ინტერნეტითაა შესაძლებელი. შვილის დასარეგისტრირებლად მშობელს მხოლოდ პირადი მონაცემის შევსება სჭირდება, რაც რამდენიმე წუთს მოითხოვს. სპეციალური აპლიკაცია შემდეგ საიტზეა განთავსებული * www.mes.gov.ge. მშობლებს სკოლის არჩევაში დაეხმარებათ e-catalog (www.catalog.edu.ge), სადაც ყველა საჯარო სკოლის შესახებ დეტალური ინფორმაციაა მოცემული.

ბავშვის ონლაინრეგისტრაციისათვის მშობელი შემდეგ ფორმას ავსებს: ბავშვის სახელი და გვარი, პირადი ნომერი. ირჩევს მხოლოდ ერთ სკოლას და როდესაც სისტემა რეგისტრაციას დაუდასტურებს, მას ოფიციალურად საბუთების წარდგენა უკვე სკოლაში მოუწევს.

მშობელი რეგისტრაციის წარმატებით დასრულებისთანავე იღებს პასუხს შვილის სასურველ სკოლაში ჩარიცხვის შესახებ. ასევე, მშობელი შეტყობინებას ჩარიცხვის შესახებ, SMS-ის საშუალებითაც მიიღებს.

მშობლებს, რომლებსაც ინტერნეტთან ხელი არ მიუწვდებათ, დასარეგისტრირებლად შეუძლიათ თავიანთი რაიონის რესურსცენტრს მიმართონ. ონლაინრეგისტრაცია მხოლოდ საჯარო სკოლებზე ვრცელდება. კერძო სკოლები პირველკლასელთა მიღებას ინდივიდუალური გადაწყვეტილების საფუძველზე ახორციელებენ.

რეგისტრაციის პროცესი თავისუფალია, ნებისმიერ მშობელს მოსწავლე მისთვის სასურველ სკოლაში შეუძლია დაარეგისტრიროს. პირველკლასელთა სასურველ სკოლაში ონლაინრეგისტრაციისათვის საცხოვრებელ ადგილს მნიშვნელობა არ ენიჭება. ყველა დარეგისტრირებული ბავშვი 15 სექტემბერს პრეზიდენტისგან საჩუქრად პერსონალურ კომპიუტერს „ბუკს“ მიიღებს.

შეგახსენებთ, რომ ბავშვის სკოლაში მიყვანა მშობელს შეუძლია 5 წლის ასაკიდან. პროცესი ნებაყოფლობითია და მშობელი თავად აკეთებს არჩევანს.

საღვთისმეტყველო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის

მეთოდიკა

მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

გვერდი 4–5

საგანმანათლებლო კერა

განათლება რევოლუციამდელ გორში

გვერდი 6–7

იურისტის კონსულტაცია

პედაგოგთა შეკითხვებს პასუხობს სპმთპ-ს იურისტი თამარ ავალიანი

გვერდი 8

გ თ ა ვ ა ზ ო ბ თ

ტესტების კრებულებს
ქართულ ლიტერატურაში,
რომელიც ითვალისწინებს 2012 წლის
საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა.

ავტორები: თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

* კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;
* მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;
* სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გეძლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;
* თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი

კრებულების შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295-80-23, 790 95-80-23, 577 13-22-83

საალდგომო ეპისტოლე

უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქის, მცხეთა–თბილისის მთავარეპისკოპოსის, ბიჭვინთისა და ცხუმ–აფხაზეთის მიტროპოლიტის ილია II-ის

ყოვლადსამღვდელონო მღვდელმთავარნო, ღირსნო მოძღვარნო, დიაკონნო, ბერ-მონოზონნო, ყოველნო მკვიდრნო ღვთივკურთხეული ივერიის მიწისა და დროებით ჩვენი ქვეყნის საზღვრებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო ძვირფასო თანამემამულენო!

ქრისტე აღდგა!

მაშ, მტკიცედ იდექით თავისუფლებით, რომლითაც ქრისტემ გაგვათავისუფლა და კვლავ ნუღა დაიდგამთ მონობის უღელს (გალატ. 5.1).

ქრისტე აღდგა!

სადა არს სიკვდილო საწერტელი შენი?!

ქრისტე აღდგა!

სადა არს ჯოჯოხეთო ძლევაი შენი?!

დღეს ზეიმობს ცა და ქვეყანა, ხარობენ კაცნი და ანგელოზთა დასნი; „ჩვენც შევიდეთ სახლსა უფლისასა... და ყოველნივე ვიშვებდეთ სერითა მით სარწმუნოებისათა“ (წმ. იოანე ოქროპირი).

მაინც რა არის ჩვენი ასეთი სიხარულის მიზეზი, რატომაა პასექი დღესასწაულთა დღესასწაული?!

მთელი კოსმოსის, ხილული და უხილავი სამყაროს შემომქმედი და სიცოცხლის ერთადერთი საწყისი არის ყოვლადწმიდა სამება. მასში, მასთან და მისით არსებობს ყოველი. იგია მარადიული, უცვალებელი და უძრავი. დანარჩენი ყველაფერი ცოცხალი კი ვითარდება, მოძრაობს და დაუსრულებლად მიისწრაფვის მისკენ.

ადამისა და ევას ცოდვით დაცემის გამო მთელი კოსმოსი ხრწნილებას დაექვემდებარა და სამყაროში შემოვიდა სიკვდილი. „როგორც ერთი კაცის მიერ შემოვიდა ცოდვა ამ ქვეყნად, და ცოდვის მიერ – სიკვდილი, ისე სიკვდილიც გადავიდა ყველა კაცში მის მიერ “ (რომ. 5.12) ძველი აღთქმის წმიდა და მართალი ადამიანებიც გარდაცვალების შემდეგ სამოთხეში ვერ შედიოდნენ, რადგან მემკვიდრეობით მიღებული პირველქმნილი ცოდვით დამძიმებულნი ღვთის წიაღისთვის შეუფერებელნი იყვნენ. ასე რომ, ყველასთვის დაიხშო სასუფევლის კარი.

უფლის სამართალი და კანონზომიერება ითხოვდა, რომ ამ ცოდვის საპირწონე გამოსასყიდი ისევ ადამიანს აღესრულებინა; ხოლო რადგან კაცთა შორის და, ზოგადად, ქმნილებათა შორის, ასეთი არავინ იყო და ვერც გამოჩნდებოდა, გმინავდა სამყარო, ჯოჯოხეთი და სიკვდილი კი ზეიმობდა.

და აი, აღესრულა წარმოუდგენელი და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელი საიდუმლო, – კაცობრივი ხორცი შეისხა ყოვლადწმიდა სამების მეორე ჰიპოსტასმა, – ძე ღვთისამ და ბეთლემს ბაგასა შინა მოევლინა წუთისოფელს, რომ თვითონ უცოდველს ეტვირთა ჩვენი ცოდვები, დაემარცხებინა ბოროტი ძალები და ჩვენთვის კვლავ მარადიული ნეტარება მოენიჭებინა. „სიტყვა განკაცდა, რათა ჩვენ განვღმრთობილიყავით“ (წმ. ათანასე დიდი).

ამქვეყნად უფალი ჩვეულებრივი ადამიანივით მოქმედებდა; ამიტომაც სრულად არავინ იცოდა ვინ იყო იგი. ეშმაკი მხოლოდ წმინდანს და ღვთის რჩეულს ხედავდა მასში; უდაბნოში გასულ იესოს მან გამოცდა მოუწყო და პირველი დამარცხებაც იწვნია.

მაცხოვარი შემდეგ უკვე თვითონ დევნის ეშმაკს, კურნავს შეპყრობილებს, დავრდომილებსა და კეთროვნებს, თვალს უხელს ბრმებს, აღადგენს მკვდრებს...

ბოროტი სული შეძრწუნებულია და გრძნობს, რომ ადვილად ვერ მოერევა მას. ამიტომაც მისი ნებისადმი ნებაყოფლობით დამორჩილებულ და გაუკეთურებულ ადამიანებს იყენებს თავისი მიზნის განსახორციელებლად.

და აი, იუდა..., სინედრიონი..., პილატეს სამსჯავრო, ჯვარცმა და ძე კაცისას ადამიანური ტკივილით სავსე უკანასკნელი აღმონათქვამი: „ელი, ელი, ლამა საბაქთანი~, ,,უფალო, უფალო, რაისათვის დამიტევე მე“.

თითქოს აღსრულდა ფარისეველთა და ჯოჯოხეთის ძალთა წადილი, – მოკვდა იესო; მისი სული და სხეული ერთმანეთს განეშორა, მაგრამ სწორედ ამ დროს მოხდა უმთავრესი და უმნიშვნელოვანესი მოვლენა, – ქვესკნელში შთავიდა სამყაროს შემომქმედი! ეშმაკი ჰგონებდა, რომ სხვა ადამიანთა მსგავსად შთანთქავდა ჯვარცმულ იესოს, მაგრამ თავად აღმოჩნდა ძლეული. ქრისტე მაცხოვარმა, რომელშიც საღვთო ბუნება ადამიანურ ბუნებასთან იყო შეერთებული, შემუსრა ჯოჯოხეთის ბჭენი, დაამხო მისი ძლიერება, დათრგუნა სიკვდილი და იქ მყოფი მართალთა სულნი ცათა სასუფეველში აიყვანა.

ქრისტემ „ძლევაი საკვირველი“ მოიმოქმედა. ეშმაკს ყოვლითურთ სძლია და ადამიანს მიანიჭა სიკვდილზე გამარჯვების შესაძლებლობა, მაგრამ იგი ყველამ პიროვნულად უნდა მოიპოვოს.

გავიხსენოთ უფლის სიტყვები: „მამაო, განადიდე ძე შენი, რათა ძემანცა შენმან გადიდოს შენ. რაკი მიეცი ხელმწიფება ყველა ხორციელზე..., მისცეს საუკუნო სიცოცხლე“ (იოანე 17,1,2).

ამიტომაცაა ეს დღე კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე მნიშვნელოვანი დღესასწაული ჩვენთვის და საერთოდ, ქრისტიანული სამყაროსათვის.

მკვდრეთით აღდგომილი უფალი სულიწმიდის გარდამოსვლისას აფუძნებს წმიდა ეკლესიას – თავის მისტიკურ სხეულს, რომლის ერთი ნაწილი ცხონებაში მყოფ მართალთა სულებისაგან შედგება და მას მოზეიმე ეკლესია ჰქვია, ხოლო მეორე ნაწილი ამ ქვეყნად მცხოვრებ ქრისტიანთა კრებულს წარმოადგენს და მებრძოლი ეკლესია ეწოდება, რადგან თითოეულმა მისმა წევრმა ცოდვასთან ბრძოლით უნდა მოიპოვოს გადარჩენა და მარადიული სიცოცხლე.

„სასუფეველი ცათა იიძულების“ – ბრძანებს სახარება. ეს ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, საკუთარ თავთან გვმართებს, – ჩვენს ეგოიზმთან და ამპარტავნებასთან, რაც არის ყველაზე დიდი და საშიში ნესტარი ჩვენი სულისა. ჩვენი გული, რომელიც სავსეა ცოდვით და ცოდვითი მიდრეკილებებით, ჭუჭყისგან უნდა გავათავისუფლოთ და დავუბრუნდეთ საკუთარ თავს, – ჩვენს ნამდვილ „მეს“. ამას კი, როგორც გვასწავლის უფალი, მივაღწევთ, თუ შევიყვარებთ მოყვასს, ვითარცა საკუთარ თავს.

მაშ, შეიყვარე მოყვასი და ამით შეიყვარებ შემომქმედს. შენი სიკეთე გაგიღებს სამოთხის კარს, თავმდაბლობა შეგიყვანს უფლის სავანეში, სიყვარული კი წარგადგენს შემოქმედთან, – წმ. მამების ეს რჩევა ჩვენი ცხოვრების კანონად უნდა ვაქციოთ.

ამ გზაზე შეურაცხყოფაც შეგვხვდება და ცილისწამებაც, დაცინვაც და დამდაბლებაც, დაცემაც და აღდგომაც. არ უნდა შეგვეშინდეს, ეს ყველაფერი ჩვენი ამპარტავნების წამალია, მწარე, მაგრამ განმაკურნებელი წამალი.

მაგრამ კაცობრიობის ნაწილი ასე სულაც არ ფიქრობს, რადგან არ სჯერათ ღმერთის და მარადიული ცხოვრების.

უღმერთოთა ნაწილი სიცოცხლის აზრს მხოლოდ ამქვეყნიური კეთილდღეობის სხვისთვის შექმნაში ხედავს; სხვანი – შვილების ყოლაში, რადგან მომავალს ანიჭებენ დიდ მნიშვნელობას, მაგრამ მათ არა აქვთ პასუხი თუნდაც ისეთ მარტივ კითხვებზე, როგორიცაა მაგ.: რა აზრი აქვს გამრავლებისათვის ზრუნვას, თუ შთამომავლობა შენთან ერთად არარაობად უნდა იქცეს? მით უმეტეს, რა აზრი აქვს პროგრესს, კაცობრიობისათვის ზრუნვას, თუ ჩვენი მონაპოვარი მოხმარდება მათ, ვინც ხვალ აღარ იარსებებს?

ეს ადამიანები გარკვეულწილად სხვისთვის ცხოვრობენ, მაგრამ მათი ყოფის მიზანს ასეთი აზროვნება სრულიად აუფასურებს.

ისინი გაცილებით დასაფასებელნი არიან, ვიდრე „ლოგიკურად“ მოაზროვნენი, რომელნიც მიიჩნევენ, რომ ყველაფერი უნდა გააკეთონ საკუთრი ბედნიერებისათვის და ასევე ბედნიერად დაამთავრონ ცხოვრება აქ, რადგან მათთვის იმქვეყნად არაფერი არ არსებობს.

ეს არის ყველაზე პრიმიტიული დამოკიდებულება სიცოცხლისადმი და რაოდენ სამწუხაროა, რომ ჩვენს დროში მსოფლიოში სწორედ ამგვარი განწყობისათვის ხდება ხელის შეწყობა.

მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო ამ მოვლენაზე, რომ უფრო ნათლად გავერკვიოთ რა ვითარებაში გვიწევს ცხოვრება.

საზოგადოებრივი ყოფისადმი „ახალი მიდგომა“ ჯერ გამოიხატა იმით, რომ შეეცადნენ, ადამიანისათვის დაევიწყებინათ ცოდვის განცდა და ამოქმედდა ასეთი პრინციპი: ნებისმიერი ქმედება მისაღებია, თუ იგი არ ზღუდავს სხვის თავისუფლებას. მაგ.: სხვისი უზნეობა თუ მე არაფერს მიშავებს, ეს ქმედება უარყოფითი აღარ არის...

და დაიწყო ამგვარი აზროვნების ყველგან დამკვიდრება, რაც არის აჯანყება ზნეობისა და ადამიანურობის წინააღმდეგ.

თავისუფლება და ზნეობრიობა ბუნებითია ადამიანისათვის. რომელიმე მათგანის უგულებელყოფა იწვევს პიროვნების და ასევე საზოგადოების დამახინჯებას.

სეკულარიზაციის მიმდევრებმა წინ წამოწიეს რა ცრუ თავისუფლების იდეა, ზნეობა საერთოდ ჩამოაშორეს მას და ბოლოს უკვე ასეთი პრინციპიც წამოაყენეს: რაც მსურს, ყველაფერი ბუნებრივია, დასაშვები და მისაღებია!

ეს ნიშნავს, რომ ბოროტებაც მისაღებია და ამაში ცუდი არაფერია!

ასეთი ცხოვრების ფილოსოფია ერთ მნიშვნელობას ანიჭებს ყველა იდეასა და შეხედულებას, ღირებულებათა ყველა სისტემას და ადამიანს ნებისმიერი არჩევანის გამართლებას სთავაზობს.

საყოველთაო ჭეშმარიტება აღარ არსებობს, არსებობს მხოლოდ ინდივიდუალური „ჭეშმარიტებები“. მათ შორის კი წარმატებულია ის მიმართულება, რომელიც მხარდაჭერილია ინფორმაციული მანქანისაგან და კარგად არის რეკლამირებული.

თეოლოგთა შეხედულებით, ფეხს იკიდებს ვულგარული აზროვნება, რომელიც ადამიანში მხოლოდ ცხოველური ინსტინქტების წინ წამოწევას ემსახურება.

ეს არის ჭეშმარიტი თავისუფლების სრული ანტიპოდი. ეს არის ცოდვის და ეშმაკის ისეთი ბატონობა, რომლის მსგავსიც არ ახსოვს კაცთა მოდგმას! ამგვარი აზროვნების წესსა და დამოკიდებულებას პროპაგანდას უწევენ ყველგან და მათ შორის საქართველოშიც.

როგორც ჩანს, ამ „ახალი იდეოლოგიის“ გამოვლინება და გამოხატულებაა 100 000 ქართველის წამების უწმიდეს ადგილზე ბუდა-ბარის აშენება, ასევე ქალაქის ცენტრში ცოდვის სახლების, – კაზინოსა (თანაც საპატრიარქოს გვერდით) და ტოტალიზატორის... გახსნა, სოდომ-გომორის ცოდვის ჩამდენთა და მათი მსგავსი სხვა „გმირების“ პოპულარიზაცია.

ეკლესიას, რომელიც მის წევრთა პიროვნული ნაკლულევანების მიუხედავად, ყოვლად წმინდაა და სრულიად უცდომელი, ქრისტეს მცნებისამებრ, ყველა უყვარს და ცდილობს დაეხმაროს მათ, მაგრამ ეს სიყვარული სულაც არ ნიშნავს ცოდვასთან შემგუებლობას. პირიქით, ჩვენი რწმენა მოითხოვს, რომ ცოდვა მოვიძულოთ და ვებრძოლოთ მას, ხოლო ადამიანი გავაფრთხილოთ და დავიცვათ.

ასეთი დაწესებულებები ბევრ ცივილიზებულ და დემოკრატიულ ქვეყანაში ჯერჯერობით აკრძალულია, ხოლო სადაც დაშვებულია, მათ კანონით მკაცრად განსაზღვრული მდებარეობა აქვთ – მოცილებულნი არიან სასწავლო და რელიგიურ დაწესებულებებს, ქალაქის ცენტრს, საზოგადოების დასვენებისა და კულტურული თავშეყრის ადგილებს.

მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა და მრავალი ხელშემწყობი ფაქტორისა, ახალგაზრდების დიდმა ნაწილმა და ჩვენმა ხალხმა გაუძლო ამ საცდურს და ზნეობისა და ტრადიციული ღირებულებების დამცველად დარჩა.

ჩვენი ვალია, ხელი შევუწყოთ მტკიცე ოჯახისა და ძლიერი სახელმწიფოს შექმნას, ამიტომაც გვსურს, რომ გამოვთქვათ ჩვენი ზოგიერთი მოსაზრება:

მიუხედავად ქვეყნის გარკვეული წინსვლისა, მოსახლეობის დიდი ნაწილი სოციალურად კვლავაც დაუცველ ფენას წარმოადგენს; დაბალია ეროვნული წარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მაჩვენებელი; ბაზარზე დომინირებს იმპორტული საქონელი; არარეალურადაა გაზრდილი გადასახადები, მათ შორის კომუნალური, შემოსავლის წყარო კი, დაბალანაზღაურებადია.

საჭიროა ისეთი კანონების მიღება, რომელიც შეამცირებს გადასახადებს, განსაკუთრებით კი, სოფლის მეურნეობის სფეროში, რათა იგი გახდეს დაინტერესების საგანი. ფრიად სასურველია, დახმარება გაეწიოს გლეხურ მეურნეობას, რომ მათ შეძლონ მიწის დამუშავება, თესლის, სასუქისა და სხვა შესაწამლი საშუალებების შეძენა, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის მოყვანა და გადამუშავება. სარეალიზაციო ბაზრის მოპოვება კი, ვფიქრობთ, სახელმწიფოს არ გაუჭირდება, მასზე მსოფლიოში მოთხოვნა დიდია.

თუ ეს განხორციელდა, მოკლე დროში შესამჩნევი იქნება წინსვლა და ხალხს დაუბრუნდება შრომის სურვილი.

ხელისუფლების განსაკუთრებული ზრუნვის საგანი, რა თქმა უნდა, უნდა იყოს ჯანდაცვის სფერო.

ექიმობა ღვთივკურთხეული და კაცობრიობის ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილური საქმიანობაა. დღესაც მსოფლიოში იგი ყველაზე საპატიო და მაღალანაზღაურებადი პროფესიაა. ხოლო იქ, სადაც ექიმს არ უჭირავს სათანადო ადგილი და არა აქვს დაფასება, პაციენტს ეკარგება მისდამი ნდობა, რის შედეგადაც პირველ რიგში ზარალდება არა ექიმი, არამედ ავადმყოფი და საბოლოოდ მთელი საზოგადოება; ამიტომ, ვფიქრობთ, ჯანდაცვის პრიორიტეტად უნდა დარჩეს ექიმის კვალიფიკაციის ამაღლება, მათი პრესტიჟის დაცვა და ახალგაზრდა მაღალპროფესიული კადრის აღზრდა.

ავადმყოფის მკურნალობა ასევეა დამოკიდებული ეფექტური და უსაფრთხო მედიკამენტების გამოყენებაზე, ვინაიდან უვარგისი და ფალსიფიცირებული წამალი შეიძლება საწამლავად ექცეს მას. ამიტომ საგანგებო ყურადღება უნდა მიექცეს ქვეყანაში შემოტანილი თუ ადგილობრივი წარმოების პრეპარატის ხარისხს.

ფრიად სასურველია სახელმწიფოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანი გახდეს ჩვილობის ასაკში ბავშვისა და დედის ერთად ყოფნის ხელშეწყობა და დედისათვის ხელფასიანი შვებულების თუნდაც ექვს თვემდე გაზრდა.

დღეს სერიოზულად ზრუნავენ დაავადებათა პროფილაქტიკასა და მათ ადრეულ გამოვლენაზე, რაც ძალიან სწორია და აუცილებელი. ამასთან, მიმაჩნია, რომ ცხოვრების ჯანსაღი წესის პროპაგანდა უნდა გაგრძელდეს ჯანდაცვის სფეროსა და ეკლესიას შორის მჭიდრო თანამშრომლობის საფუძველზე, რაც, ვფიქრობთ, უფრო ეფექტური იქნება.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობასაც, რადგან ციხეებში არსებობს მრავალი ხელშემწყობი ფაქტორი ისეთი სოციალურად საშიში დაავადებების მძიმე ფორმების გავრცელებისათვის, როგორიცაა თუნდაც ტუბერკულოზი.

აუცილებელია სპეციალური სამსახურების მობილიზება და მათი ინტეგრირებული საქმიანობა, რომ სწორად გატარებული პროფილაქტიკური და სამკურნალო ღონისძიებებით თავიდან ავიცილოთ ციხეებში როგორც ამ დაავადების, ისე C ჰეპატიტის, შიდსის და სხვათა გავრცელება, ხოლო უკვე დაავადებულებში – დროული მკურნალობა.

ჩვენი ტკივილია, რომ საქართველოს პენიტენციალურ დაწესებულებებში ძალიან ბევრი პატიმარია, მათ შორის დიდია არასრულწლოვანთა და ქალთა რაოდენობა. ვფიქრობ, მნიშვნელოვანია სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროსთან არსებული ვადაზე ადრე გათავისუფლების მუდმივმოქმედი კომისიების უფრო აქტიური საქმიანობა. ამასთან, იქნებ ვიზრუნოთ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, მიმაგრების და სხვა ალტერნატიული სასჯელების ამოქმედებაზე იმ პატიმართა მიმართ, რომელნიც საშიშ დამნაშავეებს არ წარმოადგენენ.

კარგი იქნება, ციხეებში შეიქმნას სამუშაო ადგილები, სადაც ისინი შეძლებენ თავისი ნიჭისა და შესაძლებლობების გამოყენებას. რეალიზებული ადამიანი კი საზოგადოებისათვის ნაკლებ საშიშია.

აუცილებელია ამოქმედდეს კანონი სასჯელის გადავადების შესახებ, რაც ნიშნავს, რომ სამედიცინო კომისიის დასკვნის საფუძველზე, მძიმე ან უკურნებელი სენით დაავადებულ პატიმრებს უფლება მიეცეთ, დატოვონ სასჯელაღსრულების დაწესებულება და გამოჯანმრთელებამდე დარჩნენ და იმკურნალონ ოჯახურ გარემოში ახლობლების მზრუნველობის ქვეშ.

პატიმრებსა და სნეულებზე ზრუნვა ღვთის მცნების აღსრულება და ერთ-ერთი მთავარი სათნოებაა.

ხშირად უთქვამთ: ხომ შეეძლო უფალს, ადამიანები სიკეთისაკენ ისე მიემართა, რომ ისინი ცოდვით არ დაცემულიყვნენ და ამდენი განსაცდელიც აღარ გადაეტანათ?

„ღმერთი სულია“, – წერს პავლე მოციქული, – და სადაც უფლის სულია, იქ თავისუფლებაა.” (II კორ.3,17).

ადამიანის სიდიადე სწორედ იმაშია, რომ იგი თავისუფლებისთვისაა დაბადებული და მინიჭებული აქვს არჩევანის შესაძლებლობა კეთილსა და ბოროტს, სიწმიდესა და ცოდვას, სიკვდილსა და მარადიულობას შორის.

თავისუფლების მთავარი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ამა თუ იმ პიროვნებამ თავისი სურვილით, გაცნობიერებულად, სიყვარულით დაუმორჩილოს თავისი ნება ღვთის ნებას, რათა მოხდეს ძალდაუტანებელი შეერთება და სრული დაქვემდებარება მისდამი, რისი შედეგიც არის შემოქმედთან მსგავსების მიღწევა, ანუ მადლისმიერი განღმრთობა.

რომელი მიწიერი კეთილდღეობა შეიძლება შეედაროს იმას, რასაც უფალი თავის მორწმუნეთ უმზადებს?!

„საერთოდ, ყველა ადამიანის სული ბუნებით ქრისტიანია“ – წერს II-III-საუკუნეების ცნობილი მწერალი ტერტულიანე.

ასე რომ, თითოეულ ჩვენგანს შეუძლია გახდეს მორწმუნე და ჭეშმარიტი ღვთის მადიდებელი, თუკი, რა თქმა უნდა, ადამიანი არ გაიუკუღმართებს ბუნებას და თავისი პიროვნული არჩევანით არ დაექვემდებარება ცოდვას.

ჭეშმარიტი რწმენის მოპოვებისათვის კი აუცილებელი პირობაა საკუთარ თავში ჩაღრმავება. სულის, გულისა და გონების განწმედა, წმინდა წერილისა და საღვთისმეტყველო ლიტერატურის კითხვა და დახმარებისთვის უფლის წინაშე ლოცვა.

ძველი ნათქვამია: მსგავსი მსგავსს შეჰხარის და შეიცნობსო.

ბუნებრივია, სადაც სიბნელეა, იქ სინათლე ვერ იქნება, სადაც ჭუჭყი ბუდობს, იქ სისუფთავეზე ლაპარაკი ზედმეტია. ამიტომაც ჭეშმარიტი რწმენა ვერ იარსებებს უზნეობისა და ცოდვის გარემოში.

ხოლო ადამიანი, ვინც გულწრფელად ეძიებს სამყაროსა და თავისი არსებობის მიზეზსა და მიზანს, ვისაც მთელი არსებით სურს ჭეშმარიტების შეცნობა, ადრე თუ გვიან, მაინც იპოვის უფალს და გააცნობიერებს, რომ მისი ცხოვრება გაბრწყინებული უნდა იყოს აღდგომის ნათლით და ქრისტეში მარადიული ნეტარების დამკვიდრების სასოებით; რომ ადამიანის ამქვეყნიური ცხოვრების უმთავრესი მიზანი სასუფევლის მოპოვებაა, დანარჩენი ყველაფერი, – სამშობლო, ოჯახი, შვილები, ახლობლები, მეგობრები და ყოველივე ამქვეყნიური მოღვაწეობა ამ მიზნით უნდა იყოს წარმართული. უფალი ბრძანებს – მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული (გამოცხ. 1.8); მე ვარ აღდგომა და სიცოცხლე. ვისაც ჰსწამს ჩემი, კიდეც, რომ მოკვდეს, იცოცხლებს (ინ. 11,25).

ჩემო სულიერო შვილებო, აფხაზნო, ოსნო, უკრაინელნო, ქართველნო, ბერძენნო, ასირიელნო, აზერბაიჯანელნო, რუსნო, სომეხნო და ქურთნო, უდინნო, იეზიდნო და სხვანო, საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებნო ჩვენო საყვარელო თანამემამულენო, ჩვენ გვწამს, რომ ქრისტემ მიიღო სიკვდილი იმისათვის, რომ ჩვენში მომკვდარიყო ცოდვა. მაშ, მოვკვდეთ ცოდვისთვის, რათა ჩვენშიც გაცოცხლდეს ქრისტე!

ქრისტე აღდგა! ჭეშმარიტად აღდგა!

ილია II
სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი
აღდგომა ქრისტესი
თბილისი, 2012 წელი

ინფორმაცია

ფორუმ თეატრი
სოციალური პრობლემების გადაჭრის კატალიზატორი

რიყის პარკში, „ფორუმ თეატრის“ პოპულარიზაციის აქცია გაიმართა. საქართველოს სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებების ალიანსის მიერ ორგანიზებული ღონისძიება თეატრალურ იმპროვიზაციებს მოიცავდა. პერფორმანსები სხვადასხვა თემას წარმოაჩენდა – ძალადობის დაძლევას ახალგაზრდებში, განსაკუთრებული საჭიროებების მქონე მოსწავლეების დისკრიმინაციასთან ბრძოლას, განათლების ხელმისაწვდომობასა და მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობას. იმპროვიზებულ წარმოდგენაში თბილისის თხუთმეტი სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ფორუმ თეატრი თანამედროვე ხელოვნების მიმართულებაა, რომელიც მიზნად ისახავს, თეატრალური იმპროვიზაციის გზით, ადამიანების შეხედულებებისა და მოსაზრებების წარმოჩენას ამა თუ იმ სოციალური პრობლემის გადაჭრასთან დაკავშირებით.

პროექტი სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სსიპ-ის ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა. მისი მიზანია მოსწავლე ახალგაზრდებში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხელშეწყობა.

პროექტის ფარგლებში, მსგავსი აქტივობები საქართველოს რვა რეგიონში განხორციელდება. დასასრულს შეჯამდება თითოეული რეგიონის მიერ წარმოდგენილი პრობლემების გადაჭრის გზები, რომლებსაც ალიანსი სამომავლო საქმიანობაში გაითვალისწინებს.

საქართველოს სკოლის მოსწავლეთა გაერთიანებების ალიანსი არასამთავრობო ახალგაზრდული ორგანიზაციაა, რომელიც საქართველოს სკოლებში არსებულ მოსწავლეთა თვითმმართველობებსა და კლუბებს აერთიანებს. ორგანიზაციის მისია საქართველოს სკოლების მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა და მათი ინიციატივების ხელშეწყობაა როგორც რეგიონული, ისე საერთაშორისო მასშტაბით.

მეთოდიკა

მათემატიკის პედაგოგთა დასახმარებლად

ამჯერად წარმოგიდგენთ მათემატიკის მასწავლებლის სტანდარტით გათვალისწინებულ საკითხებს ფუნქციის წარმოებულის შესახებ.

ფუნქციის წარმოებული

ვთქვათ, y=f(x) ფუნქცია განსაზღვრულია x_0 წერტილის რაიმე მიდამოში, ხოლო x ამ მიდამოს x_0-საგან განსხვავებული წერტილია.

$\Delta x=x-x_0$ სხვაობას უწოდებენ არგუმენტის ნაზრდს, ხოლო $\Delta y=y-y_0=f(x)-f(x_0)$ სხვაობას კი – ფუნქციის ნაზრდს x_0 წერტილში ($\Delta f(x_0)$).

y=f(x) ფუნქციის წარმოებული x_0 წერტილში ეწოდება f ფუნქციის $\Delta f(x_0)$ ნაზრდის არგუმენტის Δx ნაზრდთან შეფარდების ზღვარს (თუ ეს ზღვარი არსებობს), როცა Δx მიისწრაფვის ნულისაკენ:

$$y' = \lim_{\Delta x\to\infty}\frac{\Delta y}{\Delta x} \qquad \text{ანუ} \qquad f'(x_0) = \lim_{\Delta x\to\infty}\frac{f(x_0+\Delta x)-f(x_0)}{\Delta x}$$

გეომეტრიულად წარმოებული y=f(x) ფუნქციის გრაფიკისადმი მოცემულ x_0 წერტილში გავლებული მხების კუთხური კოეფიციენტია, ე.ი. $y' = tg\propto$. წარმოებული არის ფუნქციის ცვლილების სიჩქარე x_0 წერტილში.

ელემენტარულ ფუნქციათა წარმოებულები:

$(C)' = 0$, სადაც C მუდმივია;

1. $(x^n)' = n\cdot x^{n-1}$;
2. $(a^x)' = a^x \ln a$;
3. $(e^x)' = e^x$
4. $(\log_a x)' = \frac{1}{x\ln a}$;
5. $(\ln x)' = \frac{1}{x}$;
6. $(\sin x)' = \cos x$;
7. $(\cos x)' = -\sin x$;
8. $(\operatorname{tg} x)' = \frac{1}{\cos^2 x}$;
9. $(\operatorname{ctg} x)' = -\frac{1}{\sin^2 x}$.

გაწარმოების ძირითადი წესები:

ვთქვათ, u=u(x) და v=v(x) ფუნქციები წარმოებადია, მაშინ:

1. $(u\pm v)' = (u)'\pm(v)'$;
2. $(u\cdot v)' = u'v + uv'$;
3. $(c\cdot u)' = c\cdot u'$, სადაც c მუდმივია;
4. $\left(\frac{u}{v}\right)' = \frac{u'v-uv'}{v^2}$.

5. თუ $y=f(u)$; $u=u(x)$, ე.ი. $y=f(u(x))$, სადაც $f(u)$ და $u(x)$ ფუნქციები წარმოებადია, მაშინ $y_x' = y_u'\cdot u_x'$ (რთული ფუნქციის გაწარმოების წესი). ადვილად მტკიცდება n-ის ნებისმიერი მნიშვნელობისათვის შემდეგი ტოლობა:

$$\left(\sqrt[n]{u}\right)' = -\frac{u'}{n\sqrt[n]{u^{n-1}}}$$

6. ვთქვათ, რაიმე შუალედში $y=f(x)$ ფუნქციის შექცეული ფუნქციაა $x=g(y)$.

თუ $f'(x)$ წარმოებული არსებობს და არ უდრის ნულს, მაშინ მართებულია ტოლობა:

$g'(y) = \frac{1}{f'(x)}$; ე.ი. $g'(y) = \frac{1}{f'(g'(y))}$

(შექცეული ფუნქციის გაწარმოების წესი).

გაწარმოების ცხრილისა და გაწარმოების ძირითადი წესების გამოყენებით ვიპოვოთ შემდეგ ფუნქციათა წარმოებული:

მაგალითი 1. წარმოებულის განსაზღვრის საფუძველზე ვიპოვოთ $\mathbf{y=\sqrt{x}}$ ფუნქციის წარმოებული.

ამოხსნა. ვიპოვოთ ფუნქციის ნაზრდი: $\mathbf{\Delta y = \sqrt{x+\Delta x}-\sqrt{x}}$. წარმოებულის განსაზღვრის საფუძველზე გვაქვს:

$$\mathbf{y = \lim_{x\to0}\frac{\Delta y}{\Delta x} = \lim_{x\to0}\frac{\sqrt{x+\Delta x-\sqrt{x}}}{\Delta x} = \lim_{x\to0}\frac{\left(\sqrt{x+\Delta x-\sqrt{x}}\right)\left(\sqrt{x+\Delta x+\sqrt{x}}\right)}{\Delta x\left(\sqrt{x+\Delta x+\sqrt{x}}\right)} =}$$

$$\mathbf{= \lim_{x\to0}\frac{x+\Delta x-x}{\Delta x\left(\sqrt{x+\Delta x+\sqrt{x}}\right)} = \lim_{x\to0}\frac{1}{\sqrt{x+\Delta x+\sqrt{x}}} = \frac{1}{2\sqrt{x}}}$$

ე.ი. $\mathbf{\left(\sqrt{x}\right)' = \frac{1}{2\sqrt{x}}}$.

მაგალითი 2. $y = 4x^3 - 3x^2 + 5x - 8$.

ამოხსნა.

$$y' = (4x^3)' - (3x^2)' + (5x)' - (8)' = 4\cdot 3x^2 - 3\cdot 2x + 5\cdot 1 - 0 = 12x^2 - 6x + 5.$$

მაგალითი 3. $y = 4x^3 + \frac{1}{\sqrt{x}} - \frac{7}{\sqrt[3]{x^2}}$. მოვახდინოთ გარდაქმნა და მოცემული ფუნქცია ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$y = 4x^3 + x^{-\frac{1}{2}} - 7x^{-\frac{2}{3}}$, მაშინ $y' = \left(4x^3 + x^{-\frac{1}{2}} - 7x^{-\frac{2}{3}}\right)' = (4x^3)' + \left(x^{-\frac{1}{2}}\right)' - \left(7x^{-\frac{2}{3}}\right)' =$

$= 4\cdot 3x^2 + \left(-\frac{1}{2}\right)x^{-\frac{3}{2}} - 7\cdot\left(-\frac{2}{3}\right)x^{-\frac{5}{3}} = 12x^2 - \frac{1}{2x\sqrt{x}} + \frac{14}{3x\sqrt[3]{x^2}}$.

მაგალითი 4. $y = (x^3-1)cosx$.

ამოხსნა. $y' = \left((x^3-1)cosx\right)' = (x^3-1)'cosx + (cosx)'(x^3-1) =$

$$= ((x^3)' - (1)')cosx + (cosx)'.\ (x^3-1) = (3x^2)cosx + (-sinx)(x^3-1) = \\ = 3x^2cosx - (x^3-1)sinx.$$

მაგალითი 5. $y = (2x^3 - 3x + 1)^5$.

ამოხსნა. აღვნიშნოთ $2x^3 - 3x + 1 = u$, მაშინ $y = u^5$. თუ ვისარგებლებთ რთული ფუნქციის გაწარმოების წესით, გვექნება:

$$y' = (u^5)'_u\cdot(2x^3-3x+1)'_x = 5u^4\cdot(6x^2-3) = 5(6x^2-3)(2x^3-3x+1)^4.$$

მაგალითი 6. $y = \operatorname{tg}(\ln x)$.

ამოხსნა. აღვნიშნოთ $\ln x = u$, მაშინ $y' = \operatorname{tg} u$.

გვაქვს $y' = (\operatorname{tg} u)'_u\cdot(\ln x)'_x = \frac{1}{cos^2u}\cdot\frac{1}{x} = \frac{1}{xcos^2(lnx)}$.

მაგალითი 7. $y = \log_2(3^x + 7)$.

ამოხსნა. გამოვიყენოთ რთული ფუნქციის გაწარმოების წესი

$y' = \frac{1}{(3^x+7)\ln 2}(3^x+7)' = \frac{3^x\ln 3}{(3^x+7)\ln 2}$.

მაგალითი 8. $y = \sqrt[6]{3x^2+2x+5}$.

ამოხსნა. ვისარგებლოთ ფორმულით:

$(\sqrt[n]{u})' = \frac{u'}{n\sqrt[n]{u^{n-1}}}$

გვექნება: $y' = \frac{(3x^2+2x+5)'}{6\sqrt[6]{(3x^2+2x+5)^5}} = \frac{6x+2}{6\sqrt[6]{(3x^2+2x+5)^5}} = \frac{3x+1}{3\sqrt[6]{(3x^2+2x+5)^5}}$.

მაგალითი 9. $y = \sin^3\frac{x}{3}$.

ამოხსნა. $y' = 3\sin^2\frac{x}{3}\cdot(\sin\frac{x}{3})' = 3\sin^2\frac{x}{3}\cdot\cos\frac{x}{3}\cdot(\frac{x}{3})' = \sin^2\frac{x}{3}\cdot\cos\frac{x}{3}$.

მაგალითი 10. $\boldsymbol{y = x^{x^2}}$.

ამოხსნა. მოცემულ მაგალითში ფუძე და ხარისხის მაჩვენებელი დამოკიდებულია x ცვლადზე. გალოგარითმებით ვღებულობთ:

$\ln y = x^2\ln x$ (1)

გავაწარმოოთ ტოლობის ორივე მხარე x-ით. რადგანაც y არის x-ის ფუნქცია, ამიტომ $\ln y$ არის რთული ფუნქცია და $(\ln y)' = \frac{1}{y}y'$

(1)-ის გაწარმოებით მივიღებთ:

$$\frac{y'}{y} = x^2\cdot\frac{1}{x} + 2x\ln x \Leftrightarrow \frac{y'}{y} = x(1+2x\ln x) \Leftrightarrow y' = xy(1+2xlnx) = x\cdot\boldsymbol{x^{x^2}}\cdot(1+2xlnx) = \\ = x^{x^2+1}(1+2xlnx).$$

მაგალითი 11. h_0 სიმაღლიდან v_0 საწყისი სიჩქარით, ვერტიკალურად ზევით ატყორცნილი სხეული მოძრაობს $h(t) = h_0 + v_0t - \frac{g\cdot t^2}{2}$ კანონის მიხედვით. ვიპოვოთ სიმაღლე დედამიწის ზედაპირიდან, რომელზედაც სხეული იმყოფება დროის იმ მომენტში, როცა სხეულის სიჩქარე 2-ჯერ ნაკლებია საწყის სიჩქარეზე, თუ $h_0 = 4\frac{53}{80}$მ; $v_0 = 3$მ/წმ; $g = 10$მ/წმ^2

ამოხსნა. როგორც ვიცით, სიჩქარე არის გზის წარმოებული დროით. მიტომ სხეულის სიჩქარე t მომენტისთვის იქნება $v(t)=h'(t) = v_0 - gt$.

პირობის თანახმად $v(t) = \frac{1}{2}v_0$.

გვაქვს: $v_0 - gt = \frac{1}{2}v_0 \Leftrightarrow t = \frac{v_0}{2g}$. ჩავსვათ მნიშვნელობები, მივიღებთ: $t = \frac{3}{20}$ ე.ი.

$t = \frac{3}{20}$ წამის შემდეგ სხეულის სიჩქარე 2-ჯერ ნაკლები იქნება საწყის სიჩქარეზე.

$$h\left(\frac{3}{20}\right) = 4\frac{53}{80} + 3\cdot\frac{3}{20} - \frac{1}{2}\cdot 10\cdot\frac{9}{400} = 4\frac{53}{80} + \frac{9}{20} - \frac{9}{80} = 4\frac{53+36-9}{80} = 5$$

ამრიგად, სხეული დედამიწის ზედაპირიდან დაშორებული იქნება 5 მეტრით.

მაია თევდორაშვილი
აკადემიკოს ილია ვეკუას სახელობის ფიზიკა-მათემატიკური 42-ე საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი

მეთოდიკა

ბიოლოგიის პედაგოგთა დასახმარებლად

გენეტიკური ამოცანების ამოხსნის მეთოდიკა (გაგრძელება)

ამოცანა №1.

ფერმერმა შავი ბეწვის მქონე კურდღლები იყიდა. მან იცის, რომ შავი ფერი დომინირებს თეთრზე. ფერმერს სურს გაიგოს, მისი კურდღლები წმინდა ჯიშის არიან თუ არა. როგორ უნდა მოიქცეს იგი?

ამოხსნა: შავი ბეწვის მქონე კურდღლის გენოტიპი შესაძლოა იყოს Aa ან AA. გენოტიპის დასადგენად საჭიროა გამაანალიზებელი შეჯვარების ჩატარება. ფერმერმა შავი ფერის კურდღელი თეთრ (aa) კურდღელთან უნდა შეაჯვაროს. თუ შთამომავლობაში ყველა ბაჭია შავი ფერის იქნება (პირველი თაობის ერთგვაროვნების კანონი), მაშინ კურდღელი წმინდა ჯიშის ყოფილა (AA), ხოლო თუ მოხდება დათიშვა და შთამომავლობაში თეთრი ბაჭია გამოერევა, კურდღელი ჰეტეროზიგოტი ყოფილა აღნიშნული ნიშნის მიხედვით.

განვიხილოთ ორივე ვარიანტი:



ამოცანა №2

ადამიანში დაავადება – ნამგლისებური ანემია – გამოიხატება იმაში, რომ სისხლში ერითროციტების ნაწილს აქვს არა დისკოსებრი, არამედ ნამგლისებური ფორმა. ასეთ ერითროციტებს ნაკლები ჟანგბადი გადააქვთ და ადამიანში ანემიის სიმპტომები ვლინდება. ნამგლისებური ანემიის დამემკვიდრება არასრული დომინირების ტიპით ხდება. გენი რეცესიულია და აუტოსომაშია ლოკალიზებული. ჰეტეროზიგოტებს აღენიშნებათ ანემიის ნიშნები, თუმცა მათი სიცოცხლის ხანგრძლივობა დიდია, ხოლო რეცესიული ჰომოზიგოტები ადრეულ ასაკში იღუპებიან. ოჯახში ორივე მეუღლეს ანემიის ნიშნები აღენიშნება. განსაზღვრეთ მათი გენოტიპები. როგორია ოჯახში ჯანმრთელი და დაავადებული ბავშვების დაბადების ალბათობა?

ამოხსნა: პირობიდან გამომდინარე, მშობლებმა ზრდასრულ ასაკს მიაღწიეს, თუმცა მათ ანემიის ნიშნები აქვთ, ე.ი. მათი გენოტიპი Bb-ს შეესაბამება.

შევადგინოთ შეჯვარების სქემა:



პასუხი: მშობლების გენოტიპია Bb,

ჯანმრთელი ბავშვის გენოტიპია BB და მისი დაბადების ალბათობაა 25%.

ბავშვების 50%-ს (Aa) ექნება ანემიის სიმპტომები, თუმცა მათი სიცოცხლე ხანგრძლივი იქნება. შთამომავლობის 25%-ს aa გენოტიპი ექნება (ასეთი ინდივიდები ადრეულ ასაკში დაიღუპებიან).

* * *

განვიხილოთ სასქესო ქრომოსომებში ლოკალიზებული გენების დამემკვიდრების მაგალითები.

ამოცანა:

ადამიანში მდგრადი რაქიტი, რომელიც D ვიტამინით მკურნალობას არ ექვემდებარება, დომინანტური მუტაციის შედეგია. გენი X-ქრომოსომაშია ლოკალიზებული. ჯანმრთელი მამაკაცი დაავადებულ ქალზე დაქორწინდა. როგორია ალბათობა, რომ წყვილს დაავადებული ბავშვი გაუჩნდება?

ამოხსნა: რადგანაც მამაკაცი ჯანმრთელია და გენი X-ქრომოსომაშია ლოკალიზებული, მისი გენოტიპი იქნება X^pY. ქალი დაავადებულია. მისი გენოტიპი შესაძლოა იყოს X^pX^p ან X^pX^p. განვიხილოთ ორივე ვარიანტი:



თუ ქალი დომინანტური ჰომოზიგოტია აღნიშნული გენის მიმართ, მაშინ მათი ყველა ბავშვი რაქიტით იქნება დაავადებული, რადგანაც მათ გენოტიპში P გენია ლოკალიზებული.



თუ ქალი ჰეტეროზიგოტია, მაშინ ბავშვების 50%, რომელთაც P გენი აქვთ (გენოტიპები – X^pX^p და X^pY) ავად იქნებიან, ხოლო 50% (X^pX^p და X^pY) – ჯანმრთელი იქნება.

ამოცანა:

ჰიპერტრიქოზის (ყურის ბიბილოს თმიანობა) განმაპირობებელი გენი რეცესიულია და Y ქრომოსომაშია ლოკალიზებული. ჰიპერტრიქოზით დაავადებული მამაკაცი დაქორწინდა ჯანმრთელ ქალზე. როგორია მშობლების და შთამომავლობის გენოტიპები?

შევადგინოთ შეჯვარების სქემა:



პასუხი: დედის გენოტიპია XX, მამის – XY^a ყველა ვაჟს ექნება ჰიპერტრიქოზი, რადგანაც გენი Y ქრომოსომაშია ლოკალიზებული და ეს ქრომოსომა პათოლოგიური გენით მათ მამისგან მიიღეს. ქალებში აღნიშნული დაავადება არ ვლინდება.

ნატა გიჭიკაშვილი
ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,
ბაქსუდის საერთაშორისო სკოლა

ინფორმაცია

* * *

საქართველოს პრეზიდენტი, დედაენის დღესთან დაკავშირებით, პროგრამის „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მონაწილე პედაგოგებსა და ეთნიკურად აზერბაიჯანელ და სომეხ მოსწავლეებს ბოლნისში შეხვდა. მიხეილ სააკაშვილმა მათ პროგრამის ამოქმედებიდან ერთი წლის იუბილე მიულოცა და აღნიშნა, რომ უკვე ერთი წელია, რაც „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ წარმატებით მოქმედებს. შეხვედრისას, პრეზიდენტმა სახელმწიფო ენის ცოდნის აუცილებლობაზე ისაუბრა და 2011-2012 სასწავლო წელს დაწყებული პროგრამის შედეგები შეაჯამა. მიხეილ სააკაშვილის თქმით, 2015 წელს სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელთა სრული უმრავლესობა ქართულად გამართულად უნდა საუბრობდეს. როგორც მან აღნიშნა, ეს ამბიციური გეგმაა, რომლის შესასრულებლად, ხელისუფლება უკან არაფერზე დაიხევს. რაც მთავარია, ეს აუცილებელია იმისთვის, რომ ქვეყნის ნებისმიერ მოქალაქეს, ეთნიკური წარმომადგენლობისა და რელიგიური მრწამსის მიუხედავად, წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა ჰქონდეს.

ქვეყნის პირველმა პირმა 1978 წელს თბილისში მიმდინარე აქციები გაიხსენა, რომლის მონაწილეები ქუჩაში სახელმწიფო ენის გადასარჩენად გამოვიდნენ. მისი განცხადებით, იმ ადამიანებმა გადაარჩინეს არა მარტო ქართული ენა, არამედ ქართული იდეა, ქართველი ერის იდეა. ისინი კი, ვინც ამ ენის დამხობას ცდილობდა, მისი თქმით, ქართული სახელმწიფოებრიობის იდეას ეწინააღმდეგებოდა.

„ასეთები საქართველოში ახლაც არიან, მაგრამ მათ წინააღმდეგ მუშაობს დრო და ის წარმატებები, რომელსაც ქვეყანამ მიაღწია“, – განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა მათთან საუბრისას.

ყურადღება მან უცხო ენების ცოდნის აუცილებლობაზეც გაამახვილა და აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანია, უპირველესად, ინგლისური ენის სწავლა, ხოლო შემდეგ სხვა ენების ათვისება.

პრეზიდენტი ქვეყნის განვითარების თემასაც შეეხო და განაცხადა, რომ აღმშენებელობის პროცესი საქართველოს ყველა კუთხეში მიმდინარეობს. ამ მხრივ, მან სამცხე-ჯავახეთი გამოყო, სადაც რამდენიმე წლის წინათ მოსახლეობისთვის დასაქმებისა და შემოსავლის მიღების ერთადერთი საშუალება რუსული სამხედრო ბაზა იყო. ახლა კი, მისი თქმით, რეგიონში 10-მდე ჰიდროელექტროსადგური, რკინიგზა და სხვა ობიექტები შენდება, დაიწყო კულტურული ძეგლების აღდგენა და ტურისტული ცენტრების მოწყობა, ასევე ვითარდება ინფრასტრუქტურა, რაც, იმას გარდა, რომ ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად განვითარებადი რეგიონი გახდა, მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ხალხის დასაქმებას უწყობს ხელს.

მიხეილ სააკაშვილმა ყურადღება კიდევ ერთ, მნიშვნელოვან თემას დაუთმო, რომელიც საქართველოს შეიარაღებული ძალების რეზერვისტთა სისტემას შეეხებოდა. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ეთნიკური აზერბაიჯანლებითა და სომხებით დასახლებული ადგილებიდან ზრდასრული მამაკაცების 100 პროცენტი ქართულ რეზერვში ჩაეწერა.

„ეს შეუძლებელი იქნებოდა, ისინი ამ ქვეყნის პატრიოტები რომ არ იყვნენ, – აღნიშნა მან და დასძინა – არავის დავუთმობთ ქვეყნის ამ ახალ მონაპოვარს“.

პრეზიდენტთან შეხვედრისას, საკუთარი მოსაზრება პროგრამაში მონაწილე მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა გამოხატეს და აღნიშნეს, რომ „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ წარმატებით ხორციელდება. ამ ინიციატივისა და პროგრამის განხორციელებისთვის, საქართველოს პრეზიდენტს მათ მადლობაც გადაუხადეს.

ახალი პროგრამა „ქართული ენა მომავალი წარმატებისთვის“ მიხეილ სააკაშვილის ინიციატივით ამოქმედდა და მისი ეფექტიანობისთვის, ქართული ენის სახელმძღვანელოები შეიქმნა. პროგრამის მონაწილეთა მთავარი ფუნქცია ქართული ენის გაკვეთილებზე ადგილობრივ პედაგოგებთან ერთად მუშაობა და ქართული ენის შესწავლაა. პროგრამაში 300-მდე მასწავლებელია ჩართული და ყველა მათგანი ადგილობრივ ოჯახში ცხოვრობს.

ამ პროექტში მონაწილეობის მიღება შეუძლია ბაკალავრის ხარისხის მქონე საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს, რომლისთვისაც ქართული მშობლიური ენაა. არაქართულენოვან სკოლაში ერთი აკადემიური წლის მუშაობის შემდეგ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების მსურველებს 100 პროცენტიანი სახელმწიფო სასწავლო სამაგისტრო გრანტით აფინანსებს. ამავდროულად, პროგრამაში ჩართვა მათ პედაგოგად მუშაობის სტაჟში ეთვლებათ, შესაბამისად, საშუალება აქვთ მუშაობა სკოლებში მასწავლებლებად განაგრძონ და სერტიფიცირების გამოცდა ჩააბარონ.

* * *

სტუდენტური დასაქმების პროექტის ფარგლებში, 600-ზე მეტი სტუდენტი სამედიცინო სფეროში დასაქმდება. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი დიმიტრი შაშკინი და საქართველოს ჯანმრთელობის, შრომისა და სოციალური დაცვის მინისტრი ზურაბ ჭიაბერაშვილი, პროექტის მონაწილე სტუდენტებთან ერთად, ქალაქ წნორში ახლად გახსნილ „არქიმედეს კლინიკას“ ეწვივნენ და ის გარემო დაათვალიერეს, სადაც მომავალი ექიმები ზაფხულში დასაქმდებიან.

დასაქმების პროექტის „Summer Job“ მონაწილეები, რომელთაც სამედიცინო მიმართულება აირჩიეს, საქართველოს მასშტაბით არსებულ კლინიკებსა და საავადმყოფოებში ერთი თვის განმავლობაში იმუშავებენ. მათ სხვადასხვა სამუშაოს შესრულება მოუწევთ, ამით ისინი გამოცდილებას შეიძენენ და პირველ ანაზღაურებასაც მიიღებენ.

საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული სტუდენტური დასაქმების პროექტის „Summer Job“ ფარგლებში 25 000 სტუდენტი დასაქმდება. სტუდენტები ერთი თვის განმავლობაში, 20 ივლისიდან 20 აგვისტომდე, სხვადასხვა სახელმწიფო და თუ კერძო სექტორში იმუშავებენ. თითოეული სტუდენტი ხელფასის სახით 500 ლარს მიიღებს.

ერთთვიანი სამუშაოს შესრულებისას გამომუშავებული თანხა სტუდენტს საშუალებას მისცემს, საკუთარი სწავლა თავად დააფინანსოს ან თანხა სურვილისამებრ გამოიყენოს, რაც ასევე ძალიან მნიშვნელოვანია.

აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის სამინისტრო მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, მრავალი წლის განმავლობაში სოხუმის მე-5 საშუალო სკოლის დირექტორი

რაჟდენ მიხეილის ძე ჭაჭია

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საგანმანათლებლო კერა

განათლება რევოლუციამდელ გორში

გორის საოსტატო სემინარიის 1897 წლის გამოშვება

საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე (1801წ) გორში სახელმწიფო სკოლა არ არსებობდა. მართალი, ქართული მონარქიის არსებობის ბოლო წლებში, კერძოდ 1799 წელს, იოანე ბატონიშვილმა შეადგინა პროექტი საქართველოში უმაღლესი სასწავლებლის დაარსების შესახებ და ამ პროექტში გაითვალისწინა გორის ინტერესებიც, მაგრამ პროექტის განხორციელება არ მოხერხდა და გორიც ამ დროისათვის სასწავლებლის გარეშე დარჩა.

გავიდა წლები და 1818 წლის 16 მაისს გორში გაიხსნა დაწყებითი სასწავლებელი. სასწავლებლის გახსნას ესწრებოდნენ თავად-აზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლები. სასწავლებელი განთავსებული იყო მტკვრის ნაპირას, სამეფო ქუჩაზე, პატარა შენობაში. 1888 წელს, ამავე ქუჩაზე, სასწავლებლისთვის აიგო ახალი ორსართულიანი შენობა.

სასულიერო სასწავლებლის შესანახად რუისის არქიმანდრიტ ნიკიფორეს უნდა შეეტანა 420 მანეთი ყოველწლიურად. შეტანილი თანხიდან 120 მანეთი უნდა მიეღო პირველი კლასის მასწავლებელს, 225 მანეთი – მეორე კლასის მასწავლებელს, რომელიც ამავე დროს ზედამხედველად მოიაზრებოდა და 75 მანეთი საკანცელარიო საქმესა და ბინის ქირას უნდა მოხმარებოდა.

სასულიერო სასწავლებელს განაგებდა ზედამხედველი და ინსპექტორი, ასევე გამგეობა, რომლის თავმჯდომარეც გახლდათ დავით ივანეს ძე დათოშვილი, საღვთო რჯულის მასწავლებელი, წევრები: გიორგი საძაგლიშვილი – წმინდანთა ცხოვრების მასწავლებელი, სოფრომ მგალობლიშვილი – ქართული ენის მასწავლებელი, პავლე ბურჯანაძე – მათემატიკის მასწავლებელი, ალექსანდრე იტალიანსკი – რუსული ენის მასწავლებელი. სასწავლებელს ნდობა მხოლოდ 48 მოსწავლემ გამოუცხადა. 27 მათგანი სასულიერო პირთა შვილები იყვნენ, ხოლო 21 – საერო პირთა. მათი ასაკი 6-დან 17 წლამდე განისაზღვრებოდა. მოსამზადებელ კლასში სწავლის გადასახადი 5 მანეთი იყო, მაღალ კლასებში – 10 მანეთი. ხშირად მოსწავლეები ვერ ეგუებოდნენ სწავლის რეჟიმს და სასწავლებლიდან გარბოდნენ. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით საძაგელოვ-ივერიელი (კირიონი) წერდა, რომ სასწავლებლიდან მოწაფეთა გაქცევის მიზეზი მიუთითებდა იმაზე, რომ ახლად დაარსებული სასწავლებელი აღმოცენდა არა ადგილობრივ ნიადაგზე, არამედ უცხოეთიდან გადმოტანილ-გადმონერგილზე.

1836 წელს სასწავლებელს მისცეს სამისიონერო სკოლის ხასიათი, რათა სკოლის კურსდამთავრებულებს მუსლიმანურ რაიონებში ქრისტიანული პროპაგანდა გაეწიათ. ამისათვის რუსულ და ქართულ ენებს დაემატა ოსური და თათრული, ხოლო ევროპულიდან – ბერძნული, რომელიც შემდგომში შეცვალეს ლათინურით.

სასწავლებელში თითქმის ყველა საგანი ისწავლებოდა: რუსული ენა და ლიტერატურა, ქართული, სომხური, აზერბაიჯანული, ფიზიკა, მათემატიკა, ისტორია, გეოგრაფია, პედაგოგიკა, საღვთო რჯული, სასკოლო ჰიგიენა. განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად თარგმნას.

თუ სასწავლებლის გახსნის პირველ წლებში მოსწავლეები სასწავლებლის რეჟიმს ვერ ეგუებოდნენ და გარბოდნენ, 1838 წლიდან მოსწავლეთა რიცხვი იზრდება და მოსწრების დონე მაღლდება. მოსწავლეები განსაკუთრებით კარგად ფლობდნენ რუსულ ენას, რომელსაც ასწავლიდა თბილისის გიმნაზიის აღზრდილი პედაგოგი ხითაროვი, რომელიც უსახსრობის გამო ვერ შევიდა უნივერსიტეტში და თავისი მეთოდი გამოიყენა სასწავლებელში რუსული ენის შესასწავლად. მან, ენის უკეთ დაუფლების მიზნით, შემოიღო გაკვეთილზე საბავშვო ლიტერატურის კითხვა. კვირაში ერთხელ ყველა კლასის მოსწავლე, სადილობის შემდეგ, იკრიბებოდა სასწავლებელში, ერთ-ერთი მათგანი წასაკითხად ამზადებდა რომელიმე პიესას, სხვები კი თავიანთ თხზულებებს კითხულობდნენ.

საუბრებს ესწრებოდნენ ზედამხედველი და ყველა მასწავლებელი, ბევრჯერ – სტუმრებიც. კითხვა საჯაროდ მიმდინარეობდა და შენიშვნებიც საჯაროდ გამოითქმებოდა. ბიბლიოთეკა ძალზე მწირი იყო, სასწავლებელს არ ჰქონდა თანხა წიგნების შესაძენად. ამიტომ, დირექციამ მიმართვა გააკეთა იმპერატორისადმი, რათა დეპარტამენტს სასწავლებლის ბიბლიოთეკისათვის 300 მანეთი გამოეყო.

გორის სასულიერო სასწავლებელი ერთ-ერთ საუკეთესო სასწავლებლად ითვლებოდა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ ამიერკავკასიაში. საუკეთესო სასწავლებელთა შორის იყო დასახელებული 1863 წლის თბილისის სამოქალაქო გუბერნატორის, ორლოვსკის ანგარიშში.

სასწავლებელს ასევე სახელი გაუთქვა მომღერალთა გუნდმა, რომელიც 1879 წელს ჩამოაყალიბა სიმონ კასრაძემ. გუნდში მღეროდნენ: კოტე და ია კარგარეთელები, ხარიტონ კასრაძე, ილია და ნიკოლოზ ხახუტაშვილები, ბაგრატ ზედგენიძე, ვანო მძინარაშვილი, გიორგი ბიბილური და იოსებ სტალინი. გუნდს დიდი წარმატება ჰქონდა გორსა და მის მაზრაში. კასრაძის ერევანში გადასვლის შემდეგ გუნდს სათავეში ჩაუდგა სიმონ გოგლიჩიძე.

1879 წლიდან 1900 წლამდე გორის სასულიერო სასწავლებელი დაამთავრა 373-მა მოსწავლემ. ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდი გაიზარდა 377 ერთეულით. სასწავლებელს ჰქონდა ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები, ანატომიური და ზოოლოგიური მოდელები, მინერალოგიური კოლექციები, გეოდეზიური ინსტრუმენტები და სხვ. სემინარიის წლიური ბიუჯეტი 51 215 მანეთს შეადგენდა.

გორის სამასწავლებლო სემინარიის ერთ მესამედზე მეტს ქართველები შეადგენდნენ, ამიტომაც მოწინავე ქართველი ადამიანები სემინარიაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ. ჯერ კიდევ 1877 წელს „დროებაში“ ილია ალხაზიშვილი წერდა სასწავლებლის შესახებ: „კეთილმოვლენათაგან გორისათვის სხვათაშორის შეადგენს სამასწავლებო სემინარია, რომელზედაც არის დამოკიდებული ჩვენი ხალხის იმედი, რომ იქიდან ოთხიოდე წლის შემდეგ უეჭველად გამოვლენ ახალი თაობის განათლებული მასწავლებლები“.

გორის სასულიერო სასწავლებელში, სხვადასხვა დროს, სწავლობდნენ: იაკობ გოგებაშვილი, იოსებ სტალინი, სოფრომ მგალობლიშვილი, ლადო კეცხოველი, ნიკო ლომოური, კოტე მამაცაშვილი, ნიკოლოზ ხიზანიშვილი და სხვები.

1905 წლის რევოლუციის პერიოდში გორის სასულიერო სემინარიის მოსწავლეები აქტიურად ჩაებნენ პოლიტიკურ საქმიანობაში. მათი მოთხოვნები – უხეში პედაგოგები განედევნათ სასწავლებლიდან, აკრძალულიყო მოსწავლეთა დევნა მშობლიურ ენაზე საუბრისათვის, გაზრდილიყო ქართული ენის გაკვეთილების რაოდენობა ბერძნულის ხარჯზე, მოსწავლეებს ესარგებლათ აკრძალული ლიტერატურით და სხვ. – მთავრობამ არ გაითვალისწინა და 1917 წელს სასწავლებელი გააუქმა.

1829 წელს ამიერკავკასიის სასწავლებლებისათვის გამოცემული დებულებით, 1830 წელს, გორში გაიხსნა სამაზრო, ანუ სახალხო სასწავლებელი, რომელიც მოთავსებული იყო სამების ქუჩაზე, ერთსართულიან შენობაში. სასწავლებელში ისწავლებოდა საღვთო რჯული, რუსული ენა, გრამატიკა, არითმეტიკა, გეომეტრია, გეოგრაფია, მსოფლიო ისტორიის მოკლე კურსი, ქართული და სომხური ენები, სუფთა წერა, ხატვა, ხაზვა.

სასწავლებელში იყო სამი რუსულის მასწავლებელი, მათ შორის ერთი, შტატიანი, ზედამხედველობას ასრულებდა. საღვთო რჯულს ასწავლიდა ორი მასწავლებელი: მართლმადიდებელი და სომეხი გრიგორიანელი. სამაზრო სასწავლებელი სახელმწიფო ხარჯზე არსებობდა, მას ხაზინა, წლიურად, 3340 მანეთს უხდიდა. სასწავლებელში ძირითადად თავადაზნაურთა შვილები სწავლობდნენ. 71 მოსწავლიდან 66 თავადაზნაური იყო, 5-ვაჭრის შვილი.

1880 წლის 1 ივლისიდან სამაზრო სასწავლებელი საქალაქო სასწავლებლად გადაკეთდა. მის შესანახად სახელმწიფომ გაიღო 5040 მანეთი და 40 კაპიკი. დასაწყისში მოწაფეები იხდიდნენ 5 მანეთს, ხოლო შემდეგ გადასახადი 12 მანეთამდე გაიზარდა.

საქალაქო სასწავლებელი პირველდაწყებით განათლებას იძლეოდა. კურსდამთავრებულებს უფლება ჰქონდათ, სწავლა გაეგრძელებინათ ყველა სასწავლებელსა და გიმნაზიაში. სასწავლებელში, 1851-1857 წლებში, ასწავლიდა ცნობილი ქართველი ისტორიკოსი დიმიტრი ბაქრაძე.

1895 წლისათვის შედგა სასწავლებლის მე-13 გამოშვება. ამ დროისათვის, სასწავლებელი დამთავრებული ჰქონდა 173 კაცს. კურსდამთავრებულთაგან ზოგი ალექსანდროვსკის სამასწავლებლო ინსტიტუტში შევიდა, ზოგიც – სამხედრო-სამოქალაქო სამსახურში.

1861 წელს, გორში, გაიხსნა სომხურ-გრიგორიანული სასწავლებელი, რომელიც არსებობდა გორის სომხური ეკლესიის ხარჯითა და შესაწირავით.

საქალაქო ოთხკლასიანი სასწავლებლის 1898 წლის გამოშვება.

საგანმანათლებლო კერა

საქალაქო სასწავლებლის ისტორიის პედაგოგი დიმიტრი ბაქრაძე

1869 წელს, გორში, იხსნება სახელოსნო სასწავლებელი, რომელიც ერთადერთი იყო მთელ ამიერკავკასიაში. აქ ასწავლიდნენ დურგლობას, ხარაზობას, ხარატობას, მკაზმაობას და სხვა ხელობებს.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში კავკასიის სასწავლო ოლქის სამზრუნველო საბჭო, ადგილობრივი საზოგადოება და პროგრესული პრესა, სპეციალური პედაგოგიური სასწავლო დაწესებულების გახსნასთან დაკავშირებით, საკითხს აყენებს ამიერკავკასიაში სამასწავლებლო სემინარიის გახსნის შესახებ და სათანადო შუამდგომლობას უგზავნის ზემდგომ ორგანოებს.

სემინარიის ადგილმდებარეობის შესახებ გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრება, დასახელდა სხვადასხვა ქალაქები და რაიონები: მანგლისი, ახალქალაქი, ქუთაისი, გორი. ამ საკითხის ირგვლივ სამეფისნაცვლოს მთავარ სამმართველოს უფროსს კავკასიის ოლქის მაშინდელი მზრუნველი ნეველროვი წერდა: „სასწავლო დაწესებულების გახსნისათვის აუცილებელი იყო ისეთი ადგილის შერჩევა, სადაც ქართველებისა და სომხების მოსწავლე კონტინგენტთან ერთად იქნება შესაძლებლობა მუსლიმანი ბავშვების შესვლისა“. ამისათვის უნდა შერჩეულიყო ცენტრალური ადგილი, მაგრამ იმის გამო, რომ სემინარიას უნდა მოემზადებინა სოფლის მასწავლებლები, მოუხერხებელი იქნებოდა დიდ ქალაქში მისი გახსნა. მიუხედავად იმისა, რომ ქუთაისის გუბერნია მეტად აქტიურობდა სემინარიის გახსნისათვის, სამზრუნველო საბჭომ მაინც ერთხმად გადაწყვიტა, რომ ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარია გახსნილიყო ქ. გორში.

ფორმალური ნებართვის მიღების შემდეგ, კავკასიის ოლქის მაშინდელმა მზრუნველმა ნეველროვმა, ფაქტობრივად, ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი ამიერკავკასიის სამასწავლებლო სემინარიის დირექტორად დანიშნა ს. დივარი (რომელიც მივლინებული იყო ყაზანისა და ირკუტსკის სემინარიებში მუშაობის გასაცნობად) და დაავალა მას, პირველ რიგში, ორგანიზაციული საკითხების მოგვარება და დებულების გაცნობა. დებულებაში აღნიშნული იყო შემდეგი:

- სამასწავლებლო სემინარია მიზნად ისახავს, პედაგოგიური განათლება მისცეს ამიერკავკასიის მკვიდრ ახალგაზრდებს, რომელთაც სურვილი აქვთ მასწავლებლობისა ადგილობრივ დაწყებით სკოლებში;
- სემინარიაში სახელმწიფო ხარჯზე უნდა იმყოფებოდეს 25 აღსაზრდელი, აქედან 20 – ადგილობრივი მკვიდრი და 5 რუსი;
- სემინარიის აღსაზრდელების სწავლებაში პრაქტიკული ვარჯიშის ჩასატარებლად სემინარიასთან არსებობს სამი დაწყებითი სასწავლებელი – რუსული, ქართული და სომხური;
- გარდა სახელმწიფო ხარჯზე მყოფი აღსაზრდელებისა, სემინარიაში შესაძლებლობის მიხედვით დაიშვებიან ერთობების, ქალაქების, სოფლის საზოგადოების და კერძო პირების სტიპენდიანტები, აგრეთვე თავის ხარჯზე მყოფი აღსაზრდელები;
- სახელმწიფო ხარჯზე აღზრდილი სემინარისტები კურსის დამთავრების შემდეგ ვალდებულნი არიან უფროსთა მითითებით 6 წელი იმსახურონ სახალხო სასწავლებლების ან სხვა სასწავლო დაწესებულებების მასწავლებლად, სწავლების კურსი განისაზღვრება სამი წლით. ადგილობრივ მკვიდრთათვის სემინარიაში შესვლის გაადვილების მიზნით, სემინარიასთან იხსნება განსაკუთრებული მოსამზადებელი კლასი;
- სემინარიის დირექტორს სასწავლო ოლქის მზრუნველი ირჩევს იმ პირთაგან, რომელთაც მიღებული აქვთ უმაღლესი განათლება და თანამდებობაზე ამტკიცებს კავკასიის მეფისნაცვალი;
- სემინარიისა და მასთან არსებული სასწავლებლის მასწავლებლებს ამ თანამდებობაზე ამტკიცებს კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველი;
- სემინარიაში მომსახურენი სარგებლობენ საერთო სახალხო განათლების სამინისტროს სახელმწიფო სამსახურის ყველა უფლებით, აგრეთვე, არსებული კანონმდებლობის საფუძველზე, ყველა უფლებითა და უპირატესობით, რაც მინიჭებული აქვს, კერძოდ, კავკასიის სასწავლო ოლქის სასწავლებლების მოსამსახურეებს.

სემინარიის პირველ დამტკიცებულ შტატში ითვლება: დირექტორი; მეცნიერებათა მასწავლებელი; მოსამზადებელი კლასის მასწავლებელი; დაწყებითი კლასის მასწავლებელი; სიმღერის მასწავლებელი; საღვთო რჯულის მასწავლებელი; ექიმი. გარდა ამისა, გათვალისწინებული იყო მებაღეობის, გიმნასტიკისა და ხელობის შემსწავლელთათვის ჯილდოები. სულ შტატით გათვალისწინებული გასავალი შეადგენდა 21 500 მანეთს წელიწადში. ეს თანხა სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით გაღებული უნდა ყოფილიყო ამიერკავკასიის ადგილობრივი შემოსავლებიდან.

გორის სამასწავლებლო სემინარიაში მეცადინეობა დაიწყო 1876 წლის 12 სექტემბერს. სემინარიაში ამ დროს ირიცხებოდა 48 მოწაფე, რომელთაგან 31 ქართველი იყო. ახალგახსნილ სემინარიაში მხოლოდ ორი ქართველი მასწავლებელი იყო: საღვთო რჯულსა და ისტორიას ასწავლიდა ლაზარე ტურაშვილი, ქართული დაწყებითი სკოლის მასწავლებელი ფარნაოზ ნაცვლიშვილი, სიმღერასა და გიმნასტიკას ასწავლიდა, თვით დირექტორი სპირიდონ დივარი კი – მათემატიკას, სოკოლოვი – ბუნებისმეტყველებას, სუფთა წერასა და ხაზვას, ა. ილჩენკო – რუსულ ენასა და გეოგრაფიას, სომხურ-გრიგორიანთა სარწმუნოებას ასწავლიდა ს. ტერსტეპანოვი.

გორის სამასწავლებლო სემინარიის გახსნას მოწინავე ქართული საზოგადოება სიხარულითა და კმაყოფილებით შეხვდა. ჯერ კიდევ 1875 წლის აპრილში, სერგი მესხმა გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა წერილი „სიღარიბისაგან შევიწროებული ხალხი არავითარ ღონისძიებას არ ზოგავს, უკანასკნელ გროშს იხდის, ოღონდაც კი შვილს ასწავლოს.“

სემინარიაში სწავლებამ უმაღლეს მწვერვალს მიაღწია დიმიტრი სემიონოვის დირექტორობის დროს, რომელიც ყაზანის უნივერსიტეტიდან იყო გადმოყვანილი. მის დროს სემინარიაში განმტკიცდა დისციპლინა, ბოლო მოეღო მასწავლებლების ხშირ ცვლას. სემიონოვმა კატეგორიულად მოითხოვა, სახელმწიფო სტიპენდიანტების რიცხვი გადიდებულიყო, თითოეული მოსწავლის ხარჯები გაზრდილიყო 100 მანეთიდან 130 მანეთამდე.

1880 წლის 13 მაისიდან, სემინარიაში, დამტკიცდა „თათრული განყოფილება“, რომელიც ძირითადად აზერბაიჯანელებისაგან კომპლექტდებოდა, მაგრამ თათრული განყოფილების გახსნას, გარდა ეროვნული ნიშნისა, რელიგიური საფუძველიც ედო. ამით აიხსნება სწორედ ის გარემოება, რომ თათრულ განყოფილებაზე ხშირად გვხვდება სხვადასხვა ეროვნების მაჰმადიანი ბავშვები. ასე მაგალითად, 1879 წელს მიღებულთა შორის ოთხი ქართველი იყო: მამედ აბაშიძე, ჰასან ვაჩნაძე, ისკანდერ და შევკეთ ფალავანდიშვილები. ყველა მათგანს საბუთებში ეწერა ქართული ეროვნება, ხოლო სარწმუნოებაში – მაჰმადიანი.

სემინარიაში, საგნობრივი სწავლების გვერდით, დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი კლასგარეშე კითხვას, რომელიც დიდ როლს თამაშობდა სემინარიელების აღზრდა-განათლების საქმეში. მოსწავლეები ხშირად აწყობდნენ ლიტერატურულ დილა-საღამოებს, რომლებიც სემინარიის მასწავლებელთა ხელმძღვანებლობით ტარდებოდა. მაგალითად, 1879 წლის გაზეთის „Обзор“ 24 თებერვლის ნომერმა დაბეჭდა ვრცელი კორესპონდენცია გრიბოედოვის გარდაცვალებიდან 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ლიტერატურული დილის შესახებ, რომელიც ჩაატარეს სემინარიის მოსწავლეებმა, სადაც ხაზგასმული იყო იმ მჭიდრო ურთიერთობის შესახებ, რომელიც არსებობდა გრიბოედოვსა და მოწინავე ქართველ მოღვაწეებს შორის.

სემინარიაში იმართებოდა ლიტერატურული წრის შეკრებებიც, რომლებზეც მოსწავლეები კითხულობდნენ რეფერატებს სხვადასხვა საკითხებზე. ყველა ეს ღონისძიება ხელს უწყობდა მოსწავლეთა გონებრივ განვითარებას და აჩვევდა მათ საზოგადოებრივ საქმიანობას.

სემინარიაში მოსწავლეები პრაქტიკულ საქმიანობასაც ეწეოდნენ – ბაღებში სწავლობდნენ ბოსტნეულის მოყვანას, გამოჰყავდათ აბრეშუმის ჭია, სწავლობდნენ ხარატობას, დურგლობასა და სხვადასხვა ხელობას.

სასულიერო სასწავლებლის ქართული ენის პედაგოგი სოფრომ მგალობლიშვილი

გორის სამასწავლებლო სემინარია პირველი იყო, რომელიც გაიხსნა ამიერკავკასიაში და რომელმაც თავისი არსებობის 42 წლის მანძილზე საკმაოდ დახელოვნებული მასწავლებლები გამოუშვა, მათი რიცხვი 700-ს აღემატებოდა. ბევრმა მათგანმა, სახალხო მასწავლებლობის გარდა, თავი გამოიჩინა ლიტერატურულ-საზოგადოებრივ ასპარეზზე მოღვაწეობით. ამ მხრივ, საკმარისია დავასახელოთ სასწავლებლის კურსდამთავრებულები: ვაჟა-ფშაველა, ლადო აღნიაშვილი, ალექსანდრე ნათაძე, ვანო ავალიშვილი, ნიკო რაზიკაშვილი (ბაჩანა), თედო რაზიკაშვილი, ვანო გიუნაშვილი, ნიკო ჯანაშია, თეოფილე ხუსკივაძე, აზერბაიჯანული ოპერის ფუძემდებელი უზეირ ჰაჯიბეკოვი (სწავლობდა 1899-1904 წ.წ.).

გორის სასულიერო სემინარიის მასწავლებელთა ბირთვს კარგად ჰქონდა შეგნებული საზოგადოების, ხალხის ინტერესები – ყველა ახალგაზრდის, განურჩევლად ეროვნებისა, მოწინავე იდეებით აღზრდა. ამ მიმართულებით მუშაობდნენ სემინარიის მასწავლებლები სემინარიის არსებობის განმავლობაში. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: დ. სემიონოვი, ვ. პავლოვი, არ. ქუთათელაძე, ნ. ნოვოსპასკი, მ. ყიფიანი, ნ. ლომოური, კ. მალინინი, პ. პეტროვი და სხვები.

გორის სამასწავლებლო სემინარიამ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სახალხო მასწავლებლის მომზადების საქმეში.

1910 წელს, საქალაქო თვითმმართველობისა და მოწინავე ინტელიგენციის შუამდგომლობით, გორში გაიხსნა ვაჟთა პროგიმნაზია, სადაც 224 მოსწავლე სწავლობდა. 1915 წელს ის გიმნაზიად გადაკეთდა.

1922 წელს გორის ვაჟთა გიმნაზია ქალთა ჰუმანიტარულ ტექნიკუმს შეუერთდა და ჩამოყალიბდა გორის ჰუმანიტარული ტექნიკუმი.

ცნობილია, რომ მე-19 საუკუნის 50-იანი წლებიდან გორში გაიხსნა კერძო პანსიონებიც, რომელთაც ჯეროვანი წვლილი შეიტანეს მოსწავლე ახალგაზრდობის განათლების საქმეში.

იამზე ხომასურიძე
გორის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდების მთავარი შემნახველი

იურისტის კონსულტაცია

აქვს თუ არა უფლება სკოლის დირექტორს გაათავისუფლოს პედაგოგი სამსახურიდან საპენსიო ასაკის გამო?

სკოლის დირექტორს არ აქვს უფლება სამსახურიდან გაათავისუფლოს პედაგოგი საპენსიო ასაკის გამო.

საპენსიო ასაკის ნიშნით მასწავლებლის სამსახურიდან გათავისუფლება წარმოადგენს საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ დისკრიმინაციას ასაკობრივი ნიშნით, ვინაიდან სკოლის დირექტორი, როგორც დამსაქმებელი, უთანასწოროდ, თვითნებურად ანსხვავებს საპენსიო ასაკის პედაგოგებს არასაპენსიო ასაკის პედაგოგებისაგან, წყვეტს მათთან შრომით ურთიერთობას ასაკობრივი ნიშნის გამო, რითაც საპენსიო ასაკის მასწავლებლის (დასაქმებულის) მიმართ ხდება ისეთი პირობების შექმნა, რომელიც პირდაპირ აუარესებს მის მდგომარეობას სხვა პედაგოგებთან (არასაპენსიო ასაკის პედაგოგებთან) შედარებით.

აქვს თუ არა სკოლის პედაგოგს უფლება, მოითხოვოს შვებულება კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით?

კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებელი, 6 წელიწადში ერთხელ, უფლებმოსილია მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.

რა მოცულობის ხელფასი უნდა ჰქონდეს სკოლის პედაგოგს სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში?

მასწავლებლის შრომის ანაზღაურება სრული სამუშაო კვირის შემთხვევაში არ უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ საჯარო მოსამსახურის მინიმალურ ხელფასზე ნაკლები.

რა პრინციპით იზრდება სკოლის მასწავლებლის შრომის ანაზღაურება?

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მასწავლებლის შრომის ანაზღაურება იზრდება საჯარო სკოლის ბიუჯეტის ზრდასთან ერთად.

რა ვალდებულებები აქვს საჯარო სკოლის დირექტორს, როგორც დამსაქმებელს მასწავლებელთა გაერთიანებების (პროფესიული კავშირების) საქმიანობისათვის პირობების შესაქმნელად?

საჯარო სკოლის ადმინისტრაცია ვალდებულია, არსებული მატერიალური და ფინანსური შესაძლებლობების ფარგლებში, შექმნას მასწავლებელთა გაერთიანებების (პროფესიული კავშირის) საქმიანობისათვის საჭირო პირობები, გადასცეს პირველად პროფკავშირულ ორგანიზაციას სამსახურებრივი სარგებლობისათვის სათავსები, მოწყობილობა, კავშირგაბმულობის საშუალებები დაწესებულების (საჯარო სკოლის) ხარჯზე.

მასწავლებელთა გაერთიანებებს (პროფესიულ კავშირებს) უფლება აქვთ, თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი წესით, სასკოლო დროს ან სკოლის ტეროტორიაზე ისარგებლონ კანონით გათვალისწინებული და სკოლის მიერ აღიარებული ყველა უფლებითა და თავისუფლებით, აგრეთვე სკოლის ყველა რესურსით.

რა ვალდებულებები აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და მის სტრუქტურებს მასწავლებელთა გაერთიანებებთან პედაგოგების ინტერესების დასაცავად, თანამშრომლობის კუთხით?

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო მასწავლებელთა გაერთიანებების (პროფესიული კავშირების) მონაწილეობით, ადგენს საჯარო სკოლების მასწავლებელთა შრომის ანაზღაურების მინიმალურ ოდენობასა და პირობებს, ამტკიცებს სკოლების მიერ მასწავლებელთან დადებული შრომითი ხელშეკრულებების სავალდებულო პირობებს. იგი პროფესიულ კავშირებთან თანამშრომლობით გეგმავს ღონისძიებებს მასწავლებელთა კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, მასწავლებელთა ასოციაციებისა და ორგანიზაციების მონაწილეობით, უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის პროექტის მომზადებას და დასამტკიცებლად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთვის წარდგენას.

რა ვალდებულებები აქვს მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს პედაგოგთა კვალიფიკაციის ამაღლების ხელშეწყობასთან დაკავშირებით?

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი ვალდებულია, ხელი შეუწყოს მასწავლებელთა პროფესიული მომზადების, განვითარებისა და მასწავლებლობის უფლების მინიჭების ერთიანი, მოქნილი სისტემის ჩამოყალიბებას, მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლებას. ცენტრის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს მასწავლებელთა პროფესიული მომზადების და განვითარების პროგრამების შესამუშავებლად რეკომენდაციების მომზადება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი თავის საქმიანობას ორი უმთავრესი პრიორიტეტული მიმართულებით ახორციელებს: მოქმედი მასწავლებლების პროფესიული განვითარება, კვალიფიციური კადრების მოზიდვა, მათი მომზადებისა და პროფესიაში შენარჩუნების ხელშეწყობა.

ვინაიდან მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი, თავისი დებულების თანახმად, უზრუნველყოფს მასწავლებლის პროფესიის სტატუსის ამაღლებას, მასწავლებლის პროფესიული ცოდნის, საქმიანობის მაღალ სტანდარტს, სწავლებისა და სწავლის ხარისხის მნიშვნელოვნად გაუმჯობესებას მასწავლებლის, მოსწავლეებისა და საზოგადოების სასარგებლოდ, საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე, იგი ვალდებულია, გადაამზადოს სკოლის პედაგოგები სასერტიფიკაციო გამოცდებისათვის და მუდმივად იზრუნოს მათი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

თამარ ავალიანი
საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის იურისტი

2012 წლის 3 აპრილს ახალციხის №5 საჯარო სკოლის I[4] კლასში ჩატარდა ღია გაკვეთილი ქართულ ენაში, თემაზე: „მეგობრობა გზად და ხიდად“ (პედაგოგი – იზა მარასგიშვილი). ღია გაკვეთილს ესწრებოდა სკოლის დირექტორი, ქალბატონი **ჟენია მერაბიშვილი** და სკოლის რამდენიმე პედაგოგი.

კლასში შესანიშნავი გარემოა, ბევრი თვალსაჩინოება, ბევრი ფერადი ილუსტრაცია. გაკვეთილი მიმდინარეობს მასწავლებლის მიერ შემუშავებული გეგმის მიხედვით.

გაკვეთილი შეეხებოდა მეგობრობას, ბავშვები ძალიან კარგად კითხულობდნენ, აქტიურად პასუხობდნენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს, თითოეული მოსწავლე აქტიურად იყო ჩართული საგაკვეთილო პროცესში. მათ ისაუბრეს ხალხთა მეგობრობის შესახებ. მასწავლებელს არ გამორჩენია თანამედროვეობასთან კავშირი. მან აუხსნა ბავშვებს, თუ რა კარგი პროექტებია განხორციელებული საქართველოში. მაგალითად, ერთ-ერთი გაცვლითი პროგრამა, როდესაც უცხოეთიდან ჩამოდიან პედაგოგები, რომლებიც ასწავლიან ჩვენს მოსწავლეებს უცხო ენებს ან კიდევ სკოლებს შორის მოსწავლეთა გაცვლითი პროგრამა, როცა სხვა ქალაქებიდან, სხვადასხვა სკოლებიდან ან პირიქით, ჩვენი ქალაქიდან, ჩვენივე სკოლიდან მოსწავლეების გაცვლა დამეგობრების მიზნით.

გაკვეთილზე ისაუბრეს აგრეთვე ადამიანის და ცხოველების ურთიერთობებზე, მათ მოვლა-პატრონობაზე. რადგან მომდევნო გაკვეთილის თემა „კომბლე“ იყო, მასწავლებელმა მოხერხებულად შეძლო ძველი და ახალი მასალის ერთმანეთთან დაკავშირება, აუხსნა მათ, თუ რა განსხვავებაა ხალხურ და ლიტერატურულ ზღაპარს შორის, ბავშვებს აჩვენა ბუკებში ჩატვირთული „კომბლეს“ ილუსტრაციები, რომლებსაც ისინი ხალისითა და ინტერესით ათვალიერებდნენ.

გაკვეთილის მსვლელობის დროს ჰქონდათ სახალისო შესვენებები – ივარჯიშეს მუსიკის ფონზე. გაკვეთილის ბოლო 10 წუთი მასწავლებელმა განტვირთვისთვის გამოიყენა და ბავშვებს შესთავაზა ხატვა ბუკებში Paint-ის პროგრამაში. მოსწავლეებმა ხალისით და მონდომებით შეასრულეს მიცემული დავალება, დახატეს კომბლე და ცხვრები.

ქალბატონმა ჟენია მერაბიშვილმა აღფრთოვანება ვერ დამალა იმით, თუ როგორ კარგად შეძლეს ბავშვებმა ბუკებში ხატვა.

ხათუნა შეშაბერიძე
ახალციხის №5 საჯარო სკოლის I[2] კლასის პედაგოგი

„ეს გაზაფხული შენია, დედა“

ხანგრძლივი ზამთრის შემდეგ გაზაფხულის მოსვლა და დედის დღე მოგვიანებით, მაგრამ საინტერესოდ და ორიგინალურად აღინიშნა ქუთაისის კერძო სკოლა „ლამპარში“ (დირექტორი * **მანანა სილაგაძე**). მოსწავლეებმა დედაშვილობის თემაზე შექმნილი საკუთარი შემოქმედებითი ნიმუშებით მოამზადეს მიმზიდველი ექსპოზიცია, რომელიც სკოლის სააქტო დარბაზს ამშვენებდა და განსაკუთრებულ ელფერს სძენდა ღონისძიებას. საგაზაფხულო გარემოს ქმნიდა უხვად მიმობნეული ყოჩივარდები, იები და ტიტები. მიზნობრივად შერჩეული მუსიკის ფონზე, მოსწავლეებმა დედისადმი მიძღვნილი საუკეთესო ლექსები წაიკითხეს.

საღამო იმით გამოირჩეოდა, რომ მისი მონაწილეები სკოლის მრავალშვილიანი დედები და მათი შვილები იყვნენ. როგორც აღმოჩნდა, „ლამპარი“ მრავალშვილიანი ოჯახებით საკმაოდ მდიდარია. დარბაზში სამი, ოთხი, ხუთი და ექვსი შვილის 15 მშობელი იმყოფებოდა. ზოგიერთმა მათგანმა საკუთარი ოჯახური წარმოდგენებით დაგვამახსოვრა თავი. **მარინე მანგოშვილმა** შვილებთან – **საბა, ნოე** და **თამაზ ზივზივაძეებთან** ერთად წარმოადგინა ინსცენირება და მუსიკალური ნომერი. ასევე საინტერესო იყო დედა-შვილის – **ნატალია, სალომე** და **ალექსი მამისეიშვილების** შეხმატკბილებული სიმღერა. დუეტის სახით წაიკითხეს ლექსი **ნატალია** და **ელენე გაფრინდაშვილებმა**, **ევა**, **ნიკოლოზ** და **ლუკა მანაგაძეებმა**, **ლუიზა**, **მარიამ** და **გიორგი ბილისეიშვილებმა**, **სოფიო** და **მარიამ კუხიანიძეებმა**. მშობლები აშკარად მოჭარბებული ემოციებით გამოირჩეოდნენ, რაც დარბაზსაც გადაედო.

აღსანიშნავია „მზე შინას“ ფონზე შესრულებული ცეკვა „სამაია“ (**ნია ჯანელიძე, მარიამ სინატაშვილი** და **მარიამ კუხიანიძე**).

ყველას ყურადღება მიიქცია დღევანდელი რეალობის ამსახველმა სიტყვამ „დედა – ბებია“. დარბაზში ორი ასეთი ქალბატონი – **შურა კაპანაძე** და **როზა ყვავაძე** ბრძანდებოდა. შვილიშვილებმა გულთბილი სიტყვებით გადაუხადეს მადლობა მათ.

ღონისძიების დასასრულს დირექტორმა, ქალბატონმა მანანა სილაგაძემ, სამახსოვრო საჩუქრები გადასცა მრავალშვილიან დედებს. მადლობა გადაუხადა ამ ლამაზი საღამოს ორგანიზატორს – **ირინე ხაჭაპურიძეს** (დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში, სერტიფიცირებული პედაგოგი), **ბელა ბობოხიძეს** (მუსიკის მასწავლებელი), **მურმან ჭუმბურიძეს** (ქორეოგრაფი) და **ანა არბოლიშვილს** (სლაიდ შოუს ავტორი).

დედაშვილობისადმი მიძღვნილ საღამოს მაღალი შეფასება მისცეს მოწვეულმა სტუმრებმა: **ანდრო ლოსაბერიძემ** (რესურსცენტრის უფროსი), **დავით ახვლედიანმა** (გამარჯვების მინიციპალიტეტის მერიის სამსახურის რწმუნებული), **მაია ხვისტანმა** (11 შვილის დედა) სკოლის მოძღვარმა **დეკანოზმა სვიმეონმა** დალოცა მშობლები და მათი შვილები.

მარინე უკლება

„გზა პარლამენტისაკენ“

სასკოლო დებატებში დასავლეთ საქართველოს ჩემპიონი კერძო სკოლა „მზეკაბანი-2007“ გახდა

ოთხი წელია, რაც საქართველოში სასკოლო დებატები იმართება. პროექტის „გზა პარლამენტისაკენ“ მიზანია, დებატების კონკურსის ორგანიზებით, ახალგაზრდებს შორის ამ უნარის განვითარების ხელშეწყობა. პროექტს საფუძვლად დაედო ACORA – ცენტრალური ევროპა – საზოგადოება დემოკრატიისა და კულტურისთვის ინიციატივა, რომელიც ეყრდნობოდა ჰოლანდიურ სატელევიზიო გადაცემას „სახალხო პარლამენტი“. მეხუთე წელია, მსგავსი კონკურსები რეგულარულად ტარდება ჩეხეთის რესპუბლიკაში. პროექტს ფინანსურ მხარდაჭერას უწევს ჩეხეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო პროგრამის „ტრანსფორმაცია“ ფარგლებში. პროექტის განმხორციელებლების მიზანია ახალგაზრდობის სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საზოგადოების დემოკრატიზაცია.

2009 წლიდან იმართება დებატები როგორც აღმოსავლეთ, ასევე დასავლეთ საქართველოში. 2011 წლიდან კი, კონკურსში თერჯოლის №2 საჯარო და კერძო სკოლა „მზეკაბანი-2007“ ჩაერთო და 18 დეკემბერს პირველი ტურიც გაიმართა, რომელშიც ამბროლაურის №1 და №2 საჯარო სკოლებიც მონაწილეობდნენ. ნახევარფინალში გადავიდა კერძო სკოლა „მზეკაბანი-2007“. 2012 წლის 1 აპრილს, თერჯოლის მოსწავლე ახალგაზრდობის მუნიციპალურ ცენტრში, ნახევარფინალური და ფინალური შეხვედრები შედგა, მონაწილეობდნენ: ტყიბულის №1, სამტრედიის №4, ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლები და თერჯოლიდან – კერძო სკოლა „მზეკაბანი-2007“.

დებატებს ჟიური აფასებდა, რომლის წევრებიც იყვნენ: საერთაშორისო ასოციაცია „კივიტას გეორგიკას“ ხელმძღვანელი **გიორგი მესხიძე; ნინო წიკლაური** – ტრენერი, რომელიც პედაგოგებს უტარებს დებატებთან დაკავშირებით ტრენინგებს; **ნანა ყურაშვილი –** ჩეხური არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანი გაჭირვებაში“ PIN-ის ახალგაზრდული პროგრამების მენეჯერი; **ნინო დოლიძე** – საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) პროფესორი. ჟიურის წევრი უნდა ყოფილიყო ქალბატონი **ივანა ბურსიკოვა** – ACORA ცენტრალური ევროპას ხელმძღვანელი პრაღაში, რომელიც საქართველოში ჩამოვიდა დებატებთან დაკავშირებით, მაგრამ, სამწუხაროდ, ავადმყოფობის გამო ვერ შეძლო დებატებზე დასწრება. დებატების მოდერატორი გახლდათ **ალექსანდრე კალანდაძე,** კონსულტანტი ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებში.

სასკოლო დებატების შესახებ გვიამბობენ და შთაბეჭდილებებს გვიზიარებენ „მზეკაბანელები“:

შეუფასებელია სასკოლო დებატების „გ ზა პარლამენტისაკენ“ ორგანიზატორის – „კივიტას გეორგიკას“ დამსახურება საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისათვის მომზადებული თაობის აღზრდაში. სწორედ ეს შთაბეჭდილება დამრჩა დებატების მიმდინარეობისას, როცა ამდენ მოაზროვნე, განათლებულ ახალგაზრდას ვხედავდი.

მოდებატე არ იბადება, მოდებატე უნდა გ ა ზ ა რ დ ო. ამის მიღწევა სხვადასხვა გ ზ ი თ ხდება, როგორიცაა პრე ზ ე ნ ტ ა ც ი ა, ინდივიდუალურ და გუნდურ პროექტებში მონაწილეობა, დისკუსია, ჯგუფური მუშაობა, არგუმენტირებული ესეების წერა, დებატ-კლუბის მუშაობაში მონაწილეობა და ა.შ. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი აქტივობა სისტემატურად ტარდება ჩვენს სკოლაში. სწორედ ამან განაპირობა გუნდის უდიდესი წარმატება.

უ ზ ო მ ო სიამაყითა და სიამოვნებით მავსებდა მათი თამაშის ცქერა, რადგან იმ წუთებში სკოლის ოთხ-ნახევარი წლის განმავლობაში გაწეული შრომის შედეგს ვიმკიდი.

ნინელი გვენეტაძე
კერძო სკოლის „მზეკაბანი-2007“
დირექტორი

მიმდინარე წელს კიდევ ერთი ლამაზი დღე ჩაიწერა კერძო სკოლის „მზეკაბანი-2007“ ისტორიაში.

მოსწავლეთათვის გამართულ დებატებში – „გზა პარლამენტისკენ“ – სკოლის გუნდი დასავლეთ საქართველოს ჩემპიონი გახდა.

ეს იყო მღელვარებითა და მოლოდინით აღსავსე 4 საათი, რომელმაც დარბაზში მსხდომ მაყურებელს უდიდესი სიამოვნება მოგვარა (სხვათა შორის, იგივე აღნიშნა კომპეტენტურმა ჟიურიმ).

ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება, რომ მკითხველი დეტალურად გაეცნოს იმას, თუ რა ხდებოდა დებატების მსვლელობისას. ვეცდებით, გადმოგცეთ ის ძლიერი მუხტი, რომლითაც დარბაზში მსხდომნი იყვნენ მონუსხულნი მთელი 4 საათის განმავლობაში.

გადაუჭარბებლად შემიძლია ვთქვა, რომ „მზეკაბანის“ გუნდმა დებატების კლასიკური ნიმუში აჩვენა, რითაც ჟიურისა და მაყურებლის ერთსულოვანი მოწონება დაიმსახურა.

გუნდის წარმატების გარანტი გახდა დებატების ყველა პრინციპის ზუსტი დაცვა.

ჟიურის მიერ აღინიშნა, რომ „მზეკაბანელთა“ უპირატესობა განაპირობა მისმა გუნდურობამ – ათივე მოდებატე აქტიურად იყო ჩართული კონკურსში, ყველა მათგანს ჰქონდა საშუალება, გამოეხატა საკუთარი პოზიცია.

დამწყები გუნდის გამოსვლა პირველ შთაბეჭდილებას ქმნის ჟიურისთვის. ამიტომ მნიშვნელოვანია, ვინ და როგორ იწყებს დებატებს, მისი გამოსვლა უნდა იყოს დამაჯერებელი. ეს ნამდვილად კარგად გამოუვიდა ***ანა ქოჩიაშვილს****, როცა მან დაიწყო და გამოხატა პარტნიორთა პოზიცია, შეძლო დამაჯერებელი არგუმენტირება, რამაც გუნდი სწორ გ ზ ა ზე დააყენა წარმატებული დებატებისკენ.*

გონებამახვილობა – ეს დებატების მორიგი მნიშვნელოვანი ელემენტია. უპირატესობა ენიჭება მას, ვინც შენიშვნებზე ზუსტად ურტყამს მიზანში.

ამ მხრივ, ტოლი არავის დაუდეს ***თამთა მაკარიძემ*** *და* ***მარეხ ნიკოლაძემ****, მათი ადეკვატური რეაქციები ოპონენტთა ნათქვამზე ძალზე ეფექტური იყო და, გარკვეულწილად, მომავალი წარმატების საწინდარი აღმოჩნდა.*

დებატებისას ძალზე მნიშვნელოვანია საკუთარ გამოცდილებაზე დაფუძნებული არგუმენტების გამოყენება, რადგანაც ოპონენტს უძნელდება მათი გაბათილება. ასეთი არგუმენტები ყოველთვის დამაჯერებლად ჟღერს და მათ პირდაპირ ვერავინ უარყოფს. ***ია დოლაკიძემ*** *და* ***თამარ კუჭავამ*** *არაჩვეულებრივად გაამყარეს გუნდის პოზიცია პირადი მაგალითებით.*

კონკურსის დროს სპონტანურ იუმორს დიდი მნიშვნელობა ენიჭება. გუნდის პოზიციის გასამაგრებლად, არგუმენტირებისას, ***ილია ბუცხრიკიძემ*** *მოხდენილად გამოიყენა „ვეგეტარიანელი მაიკ ტაისონის მიერ მოწინააღმდეგისათვის ყურის მოჭმის ფაქტი“, რითაც არა მარტო გულშემატკივრების, არამედ ოპონენტთა მომხრეების ტაში დაიმსახურა.*

მოდებატის არგუმენტები მეტ დამაჯერებლობას იძენენ, თუკი იგი ბუნებრივი ჟესტიკულაციითა და მიმიკით საუბრობს, სათანადოდ ცვლის ხმის ტემპსა და ტონალობას. ***ნათია ქარქაშაძემ*** *ყოველივე ეს არაჩვეულებრივად მოახერხა კონკურსის დროს, როცა ერთ-ერთ მოწინააღმდეგეს შესაშური სიმშვიდით, სასიამოვნო ინტონაციით, სათანადო ჟესტიკულაციის „თანხლებით“ მიუთითა, რომ იგი ასცდა კონკრეტულ სადებატო თემას და ადვილად გააბათილა მისი არგუმენტი.*

დებატებში დრო განსაკუთრებულ როლს თამაშობს. მოგებულია ის, ვინც ახერხებს და დროს თავის სასარგებლოდ იყენებს. კონკურსისას მონოლოგი არ უნდა აჭარბებდეს ერთ წუთს. ეს წესი გუნდის არც ერთ წევრს არ დაურღვევია, მაგრამ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ***გიორგი დოლაკიძის*** *მოხერხება, როცა მან მოასწრო და დარჩენილ ერთ წამში თავისი „„ბოლო სიტყვით“ გუნდს ერთ-ერთ დებატში გამარჯვება მოუტანა.*

კონკურსანტისათვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს მონაწილეობა დებატებში ორი ორზე, სადაც მოსწავლეები შვიდი წუთის განმავლობაში დებატობენ მითითებულ თემაზე. ამ რთულ მისიას არაჩვეულებრივად გაართვეს თავი ნახევარფინალში ***თამარ მახვილაძემ*** *და* ***ანი სიმონგულაშვილმა****, ხოლო ფინალში შეუდარებელი გახლდათ* ***გიორგი დოლაკიძისა*** *და* ***თამარ მახვილაძის*** *დუეტი.*

ჟიურის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ „მზეკაბანი“ გამოკვეთილი ლიდერის გარეშე თამაშობდა, გუნდური პრინციპით, მაგრამ დებატებიდან გამომდინარე დასახელდა საუკეთესო მოთამაშე – ეს ტიტული სამართლიანად მოიპოვა ***ანი სიმონგულაშვილმა****, იგი არაჩვეულებრივი იყო თამაშის ყველა ეტაპზე, განსაკუთრებით მაშინ, როცა ოპონენტებს უმტკიცებდა, რომ „არ შეიძლება აიკრძალოს ძალადობის ნიშნის მატარებელი სათამაშოების გაყიდვა“, რადგან ამ სათამაშოებით ბავშვი უდიდეს სიამოვნებას ღებულობს და ყოველივე ეს თამაშის დასრულებისთანავე მთავრდება. მანვე აღნიშნა, რომ ქართველი ბავშვები ოდითგანვე ერთობოდნენ ხის სათამაშო ხმლებითა და ფარებით და ყალიბდებოდნენ არა აგრესორებად, არამედ ვაჟკაცებად. ბოლოს კი, მის მიერ გაჟღერებულმა ფრაზამ „აბა, ჩვენი ბიჭები ბარბის თოჯინებზე ხომ არ გაიზრდებიანო“ – დარბაზში საყოველთაო მხარდაჭერა მოიპოვა. ანი სიმონგულაშვილს საუკეთესო მოდებატის ტიტული მიენიჭა და გადაეცა პრიზი „მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია“.*

ამ დიდ წარმატებას ვულოცავ გუნდის ყველა წევრს, მათ მწვრთნელს – ***ნათია გამყრელიძეს****, მთელ თერჯოლას, რადგან ეს ფაქტი მეტყველებს რაიონში სამოქალაქო საზოგადოების ზრდის პროცესზე.*

ბედნიერი ვარ, რომ საქართველოს, ამ ახალგაზრდების სახით, ნიჭიერი, ღრმად მოაზროვნე, მაღალი ინტელექტის მქონე თაობა ეზრდება.

აზა მემანიშვილი
დირექტორის მოადგილე
სასწავლო-აღმზრდელობით
დარგში

კომუნიკაბელური ადამიანი ვარ, მაგრამ მიჭირდა აუდიტორიის წინაშე წარდგომა. ყოველთვის მერჩივნა ჩრდილში ყოფნა, მაგრამ ვინ დაგანება თავი?! ოთხი წელია მესმის: „ია, შენ ეს შეგიძლია! ამის უნარი გაქვს“ და პრე ზ ე ნ ტ ა ც ი ებში, ინდივიდუალურ და გუნდურ პროექტებში, სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციებში, დებატკლუბებში, ინტელექტუალურ თამაშებში მონაწილეობით იმდენი რამ „შემომასწავლეს“, რომ დღეს მოდებატის უნარებიც შევიძინე და ჩემი წვლილიც შევიტანე გუნდის საერთო წარმატებაში.

ია დოლაკიძე
XI კლასის მოსწავლე

„მზეკაბანში“ ორი წლის წინ გადმოვედი და ჩემი გაოცების ხანაც დაიწყო.

ვერ წარმოვიდგენდი, თუ შეიძლებოდა სკოლის დირექტორს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების გამოვლენასა და განვითარებაზე ამდენი დრო და ენერგია დაეხარჯა.

მიჭირდა ჩემი აზრის თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად გადმოცემა, წერაზე რომ არაფერი ვთქვა. ქალბატონებმა – ნინელი გვენეტაძემ და მანანა წერეთელმა იმდენი მოახერხეს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის ოლიმპიადაზე კარგი შედეგი ვაჩვენე და საუკეთესო მოდებატის ტიტულიც მოვიპოვე.

მე არა ვარ გამონაკლისი. სკოლაში ყველაზე ასე ზრუნავენ. ამიტომაცაა ყველა ჩვენგანისთვის „მზეკაბანი“ ნამდვილი ცოდნის ტაძარი, სადაც სწავლა ყველა მოსწავლისათვის უდიდესი ბედნიერებაა.

ანა სიმონგულაშვილი
XI კლასის მოსწავლე

10

მე-9 გვერდიდან

„მზეკაბანში“ მოსვლამდე ვერასოდეს წარმოვიდგენდი, თუ ვინმესთან კამათს გავბედავდი და ისიც სცენაზე.

დაფასთან გასვლა და გაკვეთილის მოყოლაც კი მერიდებოდა. დიდი მადლობა ყველა პედაგოგს, რომელთა წყალობითაც ჩემს ძალებში დაურწმუნებელი ადამიანიდან მოდებატე გავხდი, რომელიც მზადაა უპასუხოს ხვალინდელი დღის ნებისმიერ გამოწვევას.

ანა ქოჩიაშვილი
XII კლასის მოსწავლე

დებატებში მონაწილეობაც კი დიდი ბედნიერებაა, მაგრამ არაფერი შეედრება გამარჯვების სიხარულს. მე მინდა მადლობა გადავუხადო ყველა ადამიანს, ვინც დაგვეხმარა ამ გამარჯვებაში. ჩვენს წარმატებაში განსაკუთრებული წვლილი სკოლას მიუძღვის, რადგან ყოველდღიურად ვშრომობთ და ვემზადებით ასეთი გამარჯვებისათვის. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია ქალბატონ ნათია გამყრელიძის წვლილიც. ის ყოველდღიურად დიდ დროს ატარებდა ჩვენთან, რადგან უკეთესად გაგვევითარებინა სკოლაში მიღებული უნარ-ჩვევები, რომლებიც დებატების დროს აუცილებელია. დარწმუნებული ვარ, ყველა ჩემი მეგობარი ბედნიერია, რადგან ჩვენ დასავლეთ საქართველოს ჩემპიონები ვართ მოსწავლეთა დებატებში – „გზა პარლამენტისაკენ“.

თამარ მახვილაძე
XII კლასის მოსწავლე

ბედნიერი ვარ, რომ ჩემმა გუნდმა უდიდეს წარმატებას მიაღწია – გავხდით დასავლეთ საქართველოს ჩემპიონები სასკოლო დებატებში. მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვისაც თუნდაც მცირეოდენი წვლილი მიუძღვის ჩვენს გამარჯვებაში. მადლობა ჩვენს მოწინააღმდეგე გუნდებს, სწორედ მათმა სიძლიერემ გვიბიძგა უკეთესად წარმოგვეჩინა ჩვენი შესაძლებლობები. სცენაზე ასვლამდე ჩვენმა გუნდმა რთული გზა გაიარა, რომელიც დებატებისთვის მზადების მხოლოდ ორ თვეს კი არა, სკოლაში სწავლის მთელ პერიოდს მოიცავდა.

დებატებში გამარჯვებამ დამანახა, რომ სკოლაში მოსწავლემ მხოლოდ ატესტატის ასაღებად და უნივერსიტეტში ჩასაბარებლად კი არ უნდა იაროს, არამედ შეიძინოს ყველა ის უნარ-ჩვევა, რომელიც ცხოვრებაში საკუთარი ადგილის პოვნაში დაეხმარება.

მარეხ ნიკოლაძე
XII კლასის მოსწავლე

ჩვენმა გუნდმა ღირსეულად გაიმარჯვა. ენით აუწერელია ის სიხარული, რომელიც განვიცადეთ შედეგების გამოცხადებისას. ბევრი ვიშრომეთ მიზნის მისაღწევად, მაგრამ ამ ყველაფერს მაინც ვერ მოვახერხებდით ერთ და ორ კვირაში, რომ არა წლების განმავლობაში სკოლაში შეძენილი ცოდნა და უნარ-ჩვევები.

თამარ კუჭავა
XI კლასის მოსწავლე

დებატები ცოდნის, აზროვნებისა და ინტელექტის ტრიუმფი იყო. პირველივე წუთებიდან ყველამ იგრძნო, თუ რა დიდ სიამოვნებას ვიღებდით ბავშვები ამ ყველაფრისგან. ეს გამარჯვება ყველა იმ ადამიანის დამსახურებაა, ვისაც ერთი გაკვეთილი მაინც ჩაუტარებია ჩვენთვის. ეს ყველაფერი საკმაოდ მძიმე შრომის შედეგია, რომელიც ჩვენს წარმატებულ მომავალს ემსახურება.

ჩემი აზრით, ამ პროექტის მესვეურები დიდ საქმეს ემსახურებიან, რადგან მთელი სულითა და გულით ცდილობენ ნიჭიერი და ჭკვიანი ბავშვების წარმოჩენას.

ეს დღე კი ყველას გვემახსოვრება. ძალიან დიდი მადლობა ჩვენს დირექტორს, ქალბატონ ნინელი გვენეტაძეს და მწვრთნელს ნათია გამყრელიძეს, ამ გამარჯვებაში სწორედ მათ მიუძღვით ლომის წილი, ყველანი ვგრძნობდით მათ უდიდეს თანადგომას.

ილია ბუცხრიკიძე
XI კლასის მოსწავლე

ამ პროექტმა გაზარდა ჩვენი ცოდნა, კიდევ უფრო განგვივითარა თავისუფალი აზროვნებისა და არგუმენტირების უნარი. შეიძლება ითქვას, რომ ნამდვილად დავეუფლეთ დებატების ტექნიკის საწყის ელემენტებს.

დებატების მონაწილე ყველა მოსწავლე ღირსეული იყო. გამარჯვება კი ჩვენ დამსახურებულად მოვიპოვეთ. კომპეტენტური ჟიურის აზრით, ჩვენი წარმატება განაპირობა პირველი ეტაპის შემდეგ გუნდის მიერ მიღწეულმა დიდმა პროგრესმა, ყველა მონაწილის აქტიურობამ და გუნდურობამ.

ჟიურის კომენტარმა კიდევ უფრო განმიმტკიცა რწმენა, რომ ნებისმიერ კონკურსში გამარჯვების მიზეზი მოსწავლის და პედაგოგის შეთანხმებული მუშაობაა. ესაა ყველა ჩემი წარმატების საიდუმლო.

გიორგი დოლაკიძე
XI კლასის მოსწავლე

ქართული ენის დღე ქუთაისის მუზეუმში

ქუთაისის №8 საჯარო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლეებმა სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში გამართეს ქართული ენის დღისადმი მიძღვნილი ლიტერატურული საღამო – „ო,ენავ ჩემო!“ (ღონისძიების ხელმძღვანელი – ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი **მზია ზარნაძე**, კლასის ხელმძღვანელი – **სოფიო ბასილაძე**).

შთამბეჭდავი იყო ყოველი სიტყვა, ლექსი თუ ბრძნული გამონათქვამი, რომელშიც მშობლიური ენის ხოტბა და სიყვარული ჩანდა. მოსწავლეებმა წაიკითხეს ენის სადიდებელი საკუთარი ლექსები, შეასრულეს საქართველოს ჰიმნი, უგალობეს მამულისათვის თავდადებულ ადამიანებს, უმღერეს საკუთარ ქალაქს.

მოსწავლეებმა კარს მომდგარი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული მიულოცეს მსმენელებს და სრულიად საქართველოს, მრავალჟამიერი უსურვეს მამულს, ენას და სარწმუნოებას, გამოთქვეს რწმენა, რომ საქართველოს გადაშენება არ უწერია, დადეს ფიცი საჭიროების შემთხვევაში თავგანწირვისა.

ღონისძიებას მაღალი შეფასება მისცეს: ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის საკადრო რესურსების მართვის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ნონა ქარციძემ**; ხელნაწერთა კოლექციების კურატორმა **ციცინო მუმლაძემ**; ახალი ისტორიისა და განათლების განყოფილების კოორდინატორმა, ასოცირებულმა პროფესორმა **ლია გაბუნიამ**. მშობელთა სახელით მოსწავლეებს, პედაგოგებსა და მუზეუმის ხელმძღვანელობას მადლობა გადაუხადა **ემზარ ჭიჭინაძემ**.

მზია ზარნაძე
ქუთაისის №8 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

სიახლე!



კლასიკური პოეზია

სამი ტომის ფასი 21 ლარი

თემატური პლაკატები დაწყებითი კლასებისთვის

ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. ძართული ანბანი
2. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
3. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
4. ფერები
5. ფორმები
6. გარეული ცხოველები
7. გარეული ფრინველები
8. პროფესიები
9. რიცხვები
10. ხილ-ბოსტნეული
11. შინაური ცხოველები
12. ტანსაცმელი
13. ჰიგიენის ნივთები
14. საოჯახო ნივთები
15. ტრანსპორტი
16. წყლის ბინადრები
17. ინგლისური ანბანი
18. რუსული ანბანი
19. ჩემი საძართველო

ერთი ცალის ფასი 2.5 ლარი

თემატური პლაკატები მაღალი კლასებისთვის

ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საძართველოში
3. გარეული ცხოველები საძართველოში
4. მწერები
5. ძართული ხალხური საკრავები
6. ძვეწარმავლები საძართველოში
7. საძართველოს მცენარეები
8. ადამიანის აგებულება
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
11. ძველი რომი
12. მსოფლიოს დროშები
13. ზღვის დინებები
14. ძიმური ელემენტების პერიოდული სისტემა
15. სამყაროს წარმოშობა
16. ძართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
17. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი 3 ლარი

ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. მირზა გელოვანი
6. აკაკი ბაძრაძე
7. ვასილ ბარნოვი
8. პაოლო იაშვილი
9. სულხან-საბა ორბელიანი
10. იოსებ გრიშაშვილი
11. პოლიკარპე კაკაბაძე
12. გურამ რჩეულიშვილი
13. იაკობ ხუცესი
14. იოანე საბანისძე
15. დავით გურამიშვილი
16. ბესიკი
17. რევაზ ინანიშვილი
18. ალექსანდრე ჭავჭავაძე
19. აკაკი წერეთელი
20. რუსთაველი
21. ვაჟა-ფშაველა
22. თეიმურაზ I
23. ვახტანგ VI
24. გიორგი მერჩულე
25. გრიგოლ ორბელიანი
26. დავით ალმაშენებელი
27. გურამ ასათიანი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

რეპროდუქციები ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ცისფერი ბალერინები - დეგა
2. ჰორაციუსთა ფიცი - ჟაკ-ლუი დავიდი
3. მწყემსთა თაყვანისცემა - დომენიკო გირლანდაიო
4. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი - გუსტავ კლიმტი
5. ავტოპორტრეტი - რემბრანდტ ჰარმენს ვან რეინი
6. მენინები - ველასკესი
7. დელფოსელი სიბილა - მიქელანჯელო
10. მხატვრის ბაღი - კლოდ მონე
11. უძღები შვილის დაბრუნება - რემბრანდტი
12. საძანელა - რენუარი
13. საკვირაო გასეირნება, გრან-ჟატის კუნძულზე - ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი 6.5 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 577132283. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

ქართველი მწერლები

- ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული), I-IV ტომი, – 11 ლარი
- ალექსანდრე ყაზბეგი (2-ტომეული), I-II ტომი, – 11 ლარი
- მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული), I-VII ტომი – 11 ლარი
- ლევან გოთუა (7-ტომეული), I-II ტომი – 16 ლარი
- ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული), I-II ტომი – 15 ლარი
- კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, III, VI, VII,VIII ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
- რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული), I-VI ტომი – 12 ლარი
- ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული), I-IV ტომი –12 ლარი
- გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული), I-II ტომი – 12 ლარი
- ოტია იოსელიანი (10-ტომეული), I-IX ტომი – 12 ლარი
- თამაზ ჭილაძე (6-ტომეული), I-VI ტომი – 10 ლარი
- გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული), I-IV ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

გამომცემლობა „დიოგენესა“ და გაზეთ „ახალი განათლების“ სპეციალური პროექტი

ხელმომწერთა საყურადღებოდ!

თუ თქვენ წიგნის მოყვარული ბრძანდებით, შეგიძლიათ ისარგებლოთ „დიოგენეს“ შემოთავაზებით და გააფორმოთ ხელმოწერა.

გამოიწერეთ წიგნები და მიიღეთ სპეციალურ ფასად

საყმაწვილო ენციკლოპედია „მუსიკა“

~~29.90~~

17 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „სპორტი“

~~29.90~~

10 ლარი



კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი ლიტერატურის შემსწავლელთა და მოყვარულთათვის

ავტორი თამაზ ვასაძე

11 ლარი

მოსწავლეებისა და პედაგოგების სამაგიდო წიგნი

თამარ ბეროზაშვილი

„ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი“

~~14.90~~

10 ლარი

„ახალი განათლების“ წიგნის თარო

მიმდინარეობს ხელმოწერა

გადმორიცხვისას აუცილებლად მიუთითეთ ქალაქი, რაიონი, სოფელი, სკოლა, სახელი და გვარი.

შესაძლებელია ინდივიდუალური ხელმოწერები!

მსურველები დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
295 80 23; 8790 95 80 23; 577 13 22 83.

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ202058735
ს/ს„ლიბერთი ბანკი“, ბ/კLBRTGE22, ა/ა GE93LB0113314052305000

ჯეგოგვიერთდით!





მსოფლიო ისტორიის ენციკლოპედია
~~45~~ 35 ლარი

საბავშვო ცხოველთა ენციკლოპედია
~~30~~ 26 ლარი

ხელოვნების ილუსტრირებული ისტორია
~~40~~ 30 ლარი

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსები“

ერთი ტომი – 12 ლარი

- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- ერიხ მარია რემარკი - **სამი მეგობარი**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები** ახალი
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა** ახალი
- მაინ რიდი - **კვარტერონი** ახალი



„რა არის რა“
50-ტომეული.
ერთი ტომის ფასი
11 ლარი
გაყიდვაშია სერიის 27 ტომი



ილია ჭავჭავაძე, ორტომეული

ორტომეულის ფასი 16 ლარი



საქართველოს ისტორიული ატლასი

ფასი 5,70 ლარი

ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი: მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: ტატელაშვილის №3 ტელ.: 295 80 23, 8790 958023, 577 132283.
www.axaliganatleba.ge E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype: axali.ganatleba

რეგისტრაციის № 2/4-1609, ინდექსი ხელმოწერისთვის: 76096
გაზეთი რეგისტრირებულია დიდუბის რაიონის სასამართლოს მიერ.

რედაქციის რეკვიზიტები: საქართველოს ბანკი ბ/კ BAGAGE22, ს/კ 202058735, ა/ა GE 86 BG 0000000 123631000 GEL

ISSN 2233-386X

9 772233 386008 >

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

C M Y K